



OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION  
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო



HUMAN RIGHTS HOUSE  
TBILISI

# გზამკვლევი

---

პოლიტიკური პარტიების  
შესახებ საქართველოში

თბილისი, 2012

გზამკვლევი

პოლიტიკური პარტიების შესახებ  
საქართველოში

თბილისი  
2012

## სამუშაო ჯგუფის შემადგენლობა:

ეკატერინე ფოფხაძე, ემილ ადელხანოვი, მამუკა ყუფარაძე, გელა ნიკოლაიშვილი, ზვიად ქორიძე, ნიკა ლეგაშვილი, ნაზი ჯანუაშვილი, ალექო ცქიტიშვილი, უჩა ნანუაშვილი

## დონორი:

ფონდი „ღია საზოგადოება - საქართველო“

გამოცემა მომზადებულია ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ მიერ დაფინანსებული პროექტის - „სამოქალაქო საზოგადოების მიერ პოლიტიკური პატიმრების საკითხების შესწავლა“ ფარგლებში, რომელიც განახორციელა თბილისის ადამიანის უფლებათა სახლმა. ავტორების მიერ გამოცემაში გამოთქმული მოსაზრება შესაძლოა არ გამოხატავდეს ფონდ „ღია საზოგადოება - საქართველოს“ პოზიციას. შესაბამისად, ფონდი არ არის პასუხისმგებელი მასალის შინაარსზე.

# შინაარსი

1. წინასიტყვაობა .....	2
2. შესავალი .....	3
3. პოლიტიკური პატიმრები საქართველოში: მოკლე ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა .....	4
4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა .....	7
4.1. დისკრიმინაცია .....	7
4.2. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება .....	8
5. საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტერიუმები - ევროპის საბჭო და საერთაშორისო ამნისტია .....	11
5.1. ევროპის საბჭოს კრიტერიუმები .....	11
5.2. „საერთაშორისო ამნისტია“ (Amnesty International) .....	15
6. საერთაშორისო და ადგილობრივი ანგარიშები საქართველოში პოლიტიკური პატიმრების შესახებ .....	17
6.1 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისიის, ტომას ჰამერბერგის ანგარიში .....	17
6.2 ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები ადამიანის უფლებათა შესახებ .....	19
6.3 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიში .....	20
6.4 საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები .....	21
6.5 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში - სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები .....	24
7. საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკური პატიმრები .....	27
7.1. სისხლის სამართალწარმოება .....	27
7.2. ადმინისტრაციული პატიმრობა .....	29
8. კრიტერიუმები .....	32

# 1. წინასიტყვაობა

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ყველას აქვს უფლება, გამოხატოს თავისი პოლიტიკური შეხედულება და აწარმოოს პოლიტიკური საქმიანობა ისე, რომ არ დაექვემდებაროს სასჯელს. აღნიშნული უფლება ასევე გარანტირებულია სხვადასხვა საერთაშორისო სამართლებრივი ინსტრუმენტებით, რომელთა მონაწილე მხარეს საქართველო წარმოადგენს. მიუხედავად ამისა, საქართველოს ხელისუფლება არაერთხელ დაუდანაშაულებიათ როგორც ოპოზიციურ პოლიტიკურ პარტიებს, ასევე ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებს ოპოზიციური პოლიტიკური შეხედულებების მქონე პიროვნებების სისხლისსამართლებრივ დევნასა და დასჯაში.

საქართველოში პოლიტიკური პატიმრების არსებობის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ასევე აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის ადამიანის უფლებათა 2011 წლის ანგარიშში<sup>1</sup>. თუმცა, ქვეყანაში და მათ შორის სამოქალაქო სექტორშიც არ არსებობს ერთიანი ხედვა პოლიტიკურად მოტივირებული საქმეებისა და პოლიტპატიმრების შესახებ.

სწორედ ამიტომ, შეიქმნა სამუშაო ჯგუფი, რომელიც აერთიანებს უფლებადამცველებს, ადვოკატებს, მედიაექსპერტებსა და საზოგადოების წარმომადგენლებს. სამუშაო ჯგუფის მთავარი მიზანია, სამოქალაქო საზოგადოებაში დაიწყოს დისკუსია საქართველოში პოლიტპატიმრების თემაზე და ხელი შეუწყოს ამ საკითხით დაინტერესებულ მხარეებს შორის დიალოგს.

ჯგუფი დაინტერესებულია წარმოდგენილი სახელმძღვანელო პრინციპებისა და კრიტერიუმების სადისკუსიოდ გამოტანით და გადაუდებელ ამოცანად სახავს პოლიტიკურად მოტივირებულ საქმეებზე დისკუსიის დაწყებისა და ამ პრობლემის მინიმალიზაციის ხელშეწყობას, ასევე - სამოქალაქო სექტორის მიერ ერთიანი ხედვის ჩამოყალიბებას პოლიტიკურად მოტივირებული საქმეებისა და პოლიტპატიმრების შესახებ.

ჯგუფი მოხარული იქნება, მიიღოს შენიშვნები და წინადადებები აღნიშნული გზამკვლევის გაუმჯობესებისა და საზოგადოებრივი დისკუსიის დაწყების მიზნით.

---

<sup>1</sup> <http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm>

## 2. შესავალი

ტერმინი „პოლიტპატიმარი“ XIX საუკუნის მეორე ნახევარში შეიქმნა რუსეთის ხალხოსან-რევოლუციონერთა წრეში და დიდი ხნის განმავლობაში მხოლოდ ამ წრეში გამოიყენებოდა. XX საუკუნის 60-იანი წლებიდან ეს ტერმინი მყარად დამკვიდრდა თითქმის ყველა ქვეყნის საზოგადოებრივ-პუბლიცისტურ ლექსიკაში, თუმცა დღემდე არ დაუკავებია თავისი ადგილი არც საერთაშორისო სამართლის დოკუმენტებში და არც ეროვნულ კანონმდებლობებში. ტერმინი „პოლიტპატიმარი“ არ გვხვდება არც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო დეკლარაციაში, არც სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების საერთაშორისო პაქტში, არც ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპულ კონვენციაში, არც აღნიშნული პაქტის ან კონვენციის ოქმებში და არც ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს წესდებაში. 1998 წელს ბი-ბი-სის მიერ ჩრდილოეთ ირლანდიიდან მოწოდებულ ერთ-ერთი რეპორტაჟში<sup>2</sup> ვკითხულობთ: „იურისტების ენაზე სიტყვათშეხამება „პოლიტპატიმარი“ თითქმის არავითარ შინაარსს არ ატარებს; პოლიტპატიმრის საერთაშორისოდ აღიარებული გაგება არ არსებობს“<sup>3</sup>. მას შემდეგ მდგომარეობა თითქმის არ შეცვლილა.

არსებობს მოსაზრება, რომ ტერმინი „პოლიტპატიმარი“ უფრო პოლიტიკური კატეგორიაა, ვიდრე სამართლებრივი. ამიტომაც რადგან ის პოლიტიკისა და იურისპრუდენციის ზღვარზეა, ხშირად ხდება მისი არამართლზომიერი გამოყენება, ხოლო სხვადასხვა ქვეყნების ხელისუფალნი სარგებლობენ ამით და აპელირებენ სწორედ მისი მკაფიოდ განსაზღვრული სამართლებრივი განმარტების არარსებობაზე და უარყოფენ მათ ქვეყანაში პოლიტიკური პატიმრების არსებობის ფაქტებს.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და ევროპის საბჭომ, იმის ნაცვლად, რომ თვითონ მოეხდინათ ტერმინ „პოლიტპატიმრის“ განსაზღვრება და გაერკვიათ, რომელი კონკრეტული ტიპის პატიმრები ხვდებიან ამ განსაზღვრების ქვეშ, ფაქტობრივად, ეს ფუნქცია დააკისრეს ავტორიტეტულ არასამთავრობო ორგანიზაციას „საერთაშორისო ამნისტიას“ (Amnesty International). 1964 წელს ამ ორგანიზაციას მიენიჭა გაეროს, 1965 წელს კი ევროპის საბჭოს კონსულტანტის სტატუსი.

„საერთაშორისო ამნისტიის“ განსაზღვრებით, „პოლიტპატიმარი – ეს არის ნებისმიერი პატიმარი, რომლის საქმეშიც არსებობს პოლიტიკური ელემენტი, იქნება ეს ამ პატიმრის ქმედების მოტივაცია, თვითონ ქმედება თუ ხელისუფლების მოტივაცია“<sup>4</sup>. როგორც ვხედავთ, ეს განსაზღვრება უფრო ფართოა, ვიდრე განსაზღვრება, რომელსაც იძლევა ლონგმენის ლექსიკონი: „პოლიტპატიმარი – პირი, რომელიც პატიმრობაშია თავისი ქვეყნის ხელისუფლებისადმი ოპოზიციისაში ყოფნის ან მისი კრიტიკის გამო“<sup>5</sup>

დღესდღეობით საერთაშორისო უფლებადაცვითი ორგანიზაციების პრაქტიკაში გამოიყენება ტერმინ „პოლიტპატიმრის“ რამდენიმე სხვადასხვა განსაზღვრება, რომლებიც ერთმანეთს კი არ გამორიცხავენ, არამედ ავსებენ. ამ კრიტერიუმების ავტორების ავტორიტეტის გამო, აღნიშნული

<sup>2</sup> სათაურით - “როდესაც დამნაშავე პოლიტპატიმარია”

<sup>3</sup> [http://news.bbc.co.uk/2/hi/special\\_report/46095.stm](http://news.bbc.co.uk/2/hi/special_report/46095.stm)

<sup>4</sup> <http://www.amnesty-volunteer.org/aihandbook/ch3.html#Politicalprisoners>

<sup>5</sup> „Someone who is in prison because they have opposed or criticized the government of their own country .

განსაზღვრებები პრეცედენტული სამართლის წყაროებად გამოიყენება.

წინამდებარე ნაშრომის ავტორთა ამოცანის სირთულე ისაა, რომ: ერთი მხრივ, „პოლიტიკური პატიმრის“ განსაზღვრება უნდა იყოს საკმაოდ ფართო იმისათვის, რათა არ შეზღუდოს ისეთი შემთხვევები, რომლებიც ვერ მოექცევა ვიწრო ჩარჩოში; ხოლო მეორე მხრივ, უნდა იყოს საკმაოდ კონკრეტული, რათა არავის მიეცეს მისი ფართო ინტერპრეტაციის საშუალება. ამავ დროს, გასათვალისწინებელია, რომ ეს განსაზღვრება მნიშვნელოვნად არ უნდა განსხვავდებოდეს „ტრადიციული“ გაგებისაგან, რათა საქართველოს ფარგლებს გარეთაც აღიარონ.

ამასთან, მნიშვნელოვანია გააზრება, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, ფართო საზოგადოება და სამოქალაქო აქტივისტები მუდამ დარჩებიან ფართოდ გავრცელებული ორი ურთიერთგამომრიცხველი თეზისის გავლენის ქვეშ: 1. „პოლიტპატიმარი – მუდამ არის ხელისუფლების უდანაშაულო მსხვერპლი“; 2. „პოლიტიკური მოტივებით დანაშაულის ჩამდენი პირი არის არა პოლიტპატიმარი, არამედ ჩვეულებრივი კრიმინალი, რომელიც სამართლიანად დაისჯა მის მიერ ჩადენილი დანაშაულისათვის“.

ჩვენი დოკუმენტის მიზანია, საერთაშორისო პრაქტიკისა და საქართველოს სპეციფიკის გათვალისწინებით, განვსაზღვროთ და გასაგები გავხადოთ პოლიტპატიმრის რეალური სტატუსი ასეთი კატეგორიის პატიმრების უფლებების დამცველებისთვის და ფართო საზოგადოებისთვის.

ამისათვის საჭიროა, დაკონკრეტდეს ის კრიტერიუმები, რომლებიც წარმოადგენს პოლიტპატიმრების საქმეების შესწავლის საფუძველს. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია კრიტერიუმები, რომლებიც ევროპის საბჭოს დამოუკიდებელმა ექსპერტებმა შეიმუშავეს 2001 წელს აზერბაიჯანისა და სომხეთის პოლიტპატიმრების შესახებ ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებით და რომელიც წარუდგინეს ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ 2012 წლის 26 ივნისს ევროპის საბჭომ მიიღო რეზოლუცია პოლიტიკური პატიმრების შესახებ<sup>6</sup>:

### **3. პოლიტიკური პატიმრები საქართველოში: მოკლე ისტორია და დღევანდელი მდგომარეობა**

საბჭოთა კავშირის კანონმდებლობაში (კერძოდ, სისხლის სამართლის კოდექსი) არსებობდა მუხლი, რომელიც პირდაპირ მიუთითებდა, რომ პირი, რომელიც გაავრცელებდა ცილისმწამებლურ მონაჭორს საბჭოთა სისტემისა და ხელისუფლების წინააღმდეგ, მისი შესუსტების ან დამხობის მიზნით, ჩაითვლებოდა სისხლის სამართლის დამნაშავედ. სტალინის დროს ეს იყო ცნობილი საბჭოთა კავშირის სსკ-ის 58-ე მუხლი, რომლის მიხედვით, არათუ ანტისაბჭოთა განცხადება და ქმედება ითვლებოდა სისხლის სამართლის დანაშაულად, არამედ ანტისაბჭოთა ლიტერატურის გავრცელებაც და ნებისმიერი სხვა, რეჟიმის მიმართ ოდნავ საეჭვო პოლიტიკური არალოიალობის გამოვლინებაც კი. ამის გამო ამ მუხლით დაპატიმრებული ყველა პირი ითვლებოდა პოლიტიკურ პატიმრად. სტალინის გარდაცვალების შემდეგ მიღებულ ახალ სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლმა ტრანსფორმაცია განიცადა<sup>7</sup>, მაგრამ მისი

<sup>6</sup> [http://assembly.coe.int/Communication/2012-06-26\\_ENpressajdoc21.pdf](http://assembly.coe.int/Communication/2012-06-26_ENpressajdoc21.pdf)

<sup>7</sup> საბჭოთა კავშირის სსკ-ის 70-ე მუხლი

სულისკვეთება იგივე დარჩა. აღნიშნული მუხლით დაპატიმრებული და მსჯავრდებული ყველა პირი უპირობოდ ითვლებოდა პოლიტიკურ პატიმრად, რასაც თვითონ საბჭოთა ხელმძღვანელობაც არ უარყოფდა. პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან გამომდინარე, ეს მუხლი სამართალდამცველ ორგანოებს აძლევდა ფართო ინტერპრეტაციის საშუალებას - თითქმის ნებისმიერი ქმედება თუ გამონათქვამი შეიძლებოდა, ჩათვლილიყო ანტისაბჭოთად, ანუ სისხლის სამართლის დანაშაულად (თავისუფალი აზრის გამოხატვით დაწყებული და ანეკდოტის მოყოლით დამთავრებული).

ვითარება შედარებით შეიცვალა 70-80-იანი წლების მიჯნაზე, რისი მიზეზიც გახდა 1975 წლის აგვისტოში ჰელსინკში ჩატარებული ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კონფერენცია, რომელზეც 35 ქვეყნის მეთაურებმა ხელი მოაწერეს ურთიერთგაგებისა და თანამშრომლობის ყოვლისმომცველ დოკუმენტს (ე.წ. „ჰელსინკის პაქტი“). მისი ძირითადი შინაარსი ევროპის ომისშემდგომი საზღვრების აღიარება იყო, მაგრამ ამასთან, ჰუმანიტარულ საკითხებში ყველა ქვეყანა იღებდა ადამიანის უფლებების (მათ შორის - სიტყვის, გაერთიანების, შეკრებების, გადაადგილების თავისუფლების) დაცვის ვალდებულებას<sup>8</sup>. აღმოჩნდა, რომ ზემოაღნიშნული ანტისაბჭოთა მუხლი ეწინააღმდეგებოდა „ჰელსინკის პაქტის“ სულისკვეთებას, რადგან ის ქმედებები, რასაც ეს მუხლი სს დანაშაულად თვლიდა და მკაცრ სასჯელს ითვალისწინებდა, „პაქტის“ მიხედვით, სავსებით ლეგიტიმურ ქმედებად ითვლებოდა და მასზე ხელმომწერ ქვეყნებს სიტყვის, პრესის, გაერთიანების, შეკრებებისა და გადაადგილების თავისუფლების ვალდებულებას აკისრებდა. ამიტომ 70-იანი წლების ბოლოდან საბჭოთა რეჟიმმა შეცვალა ტაქტიკა და გახშირდა სხვაგვარად მოაზროვნეების (ე. წ. „დისიდენტების“) დაპატიმრება და გასამართლება სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლებით. ფართოდ გავრცელდა პოლიტიკურად არასასურველი პირების დაკავებისა და გასამართლების პრაქტიკა ნარკოტიკების ან იარაღის ჩადებით, ხულიგნობის ან საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევის ინსპირირებით, მათი გამოცხადება შემოიღებდა და ფსიქიატრიულ საავადმყოფოებში იძულებითი „მკურნალობა“ და ა. შ.

დამოუკიდებელ საქართველოში, ბუნებრივია, სს კოდექსიდან ანალოგიური მუხლი გაქრა. თუმცა, ჯერ ზვიად გამსახურდიას, ხოლო შემდეგ ედუარდ შევარდნაძის მმართველობის პერიოდში ადგილი ჰქონდა პოლიტიკური დევნის სხვადასხვა (როგორც წესი, არაპირდაპირ) ფორმებს. გამსახურდიას პრეზიდენტობის ხანმოკლე პერიოდში პოლიტიკური ნიშნით იდევნებოდნენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა და „მხედრონის“ ლიდერები. თუმცა, ფორმალურად, მათ სისხლის სამართლის კოდექსის სხვადასხვა მუხლის საფუძველზე აპატიმრებდნენ.

შევარდნაძის მმართველობის პირველ ეტაპზე განსაკუთრებით ფართო ხასიათი მიიღო განდევნილი პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას მომხრეების პოლიტიკური ნიშნით დევნა-დაპატიმრებებმა, ხოლო მეორე ეტაპზე – „მხედრონის“ ლიდერებისა და წევრების დევნა-სწორედ ამ გაერთიანებისადმი კუთვნილების ნიშნით. თუმცა, დაახლოებით 2001 წლიდან პოლიტიკური ნიშნით რეპრესირებული თითქმის ყველა მსჯავრდებული სხვადასხვა ფორმით (მათ შორის შეწყალებით, ვადამდე-პირობით გათავისუფლებით ან პარლამენტის მიერ მიღებული „ეროვნული თანხმობის“ დოკუმენტით) გათავისუფლდა პატიმრობიდან.

<sup>8</sup> ამ დოკუმენტის საფუძველზე მომავალში შეიქმნა ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია (ეუთო)



ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშის თანახმად, პოლიტიკური რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო მიხეილ სააკაშვილის პრეზიდენტობის პერიოდში, 2005 წლიდან. თუმცა, პირველი დიდი ჯგუფი (13 პირი), ე. წ. „გიორგაძის მომხრეები“ პოლიტიკური ნიშნით დააპატიმრეს 2006 წლის სექტემბერში. ამას მოჰყვა 2007 (7 ნოემბერი), 2009 (9 აპრილი) და 2011 (26 მაისი) წლებში განხორციელებული დევნა დიდი საპროტესტო აქციების შემდეგ მათში მონაწილე სხვადასხვა ჯგუფების წინააღმდეგ<sup>9</sup>.

საქართველოში პოლიტპატიმრების საკითხზე აქტიური მუშაობა 2006-2007 წლებში დაიწყო. საქართველოს კონსერვატიული პარტიის ინიციატივით, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლის, უფლებადამცველისა და ადვოკატის მონაწილეობით, შეიქმნა კომისია, რომლის მიზანი იყო იმ ბრალდებულთა საქმეების შესწავლა, რომლებიც თავს პოლიტიკურ პატიმრებად თვლიდნენ 2007-2009 წლებში ხელისუფლების საწინააღმდეგო მასობრივ მანიფესტაციებში მონაწილეობის გამო. აღნიშნული საქმეების გამოკვლევის შემდეგ, კომისიამ გამოაქვეყნა პოლიტიკურ პატიმართა სია და 2011 წლის ბოლოსთვის 87 ადამიანი გამოაცხადა პოლიტიკური მოტივებით დაკავებულად.

ადამიანის უფლებათა ცენტრმა და საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ ასევე გამოაქვეყნეს ანგარიშები, რომლებშიც აღწერეს შესაბამისად 26 და 24 სავარაუდო პოლიტიკური პატიმრის საქმე. 2009 წლის 19-25 თებერვალს, საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციის - ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის (FIDH) მისია სტუმრობდა თბილისს შესაძლო პოლიტიკური პატიმრების საქმეების შესასწავლად. მისიამ შეისწავლა რვა საქმე და დაასკვნა, რომ ნაწილობრივ ან სრულად პოლიტიკური მიზეზები ედო საფუძვლად პოლიტიკურად აქტიური ადამიანების თუ მათი ნათესავების დევნასა და დაპატიმრებას<sup>10</sup>.

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მიერ ხაზგასმულ პრობლემას წარმოადგენს პოლიტიკური პატიმრების სხვადასხვა დეფინიციების არსებობა, რის გამოც პოლიტიკურ პატიმართა ზუსტი რიცხვის განსაზღვრა რთულდება. მით უმეტეს, ასეთი კატეგორიის პატიმართა რაოდენობა სისტემატურად იცვლება (ზოგი მათგანი თავისუფლდება სასჯელის ამოწურვის, შეწყალების ან ვადამდე-პირობით გათავისუფლების საფუძველზე, ან ხდება სხვა პირების დაპატიმრება).

რაც შეეხება საქართველოს კანონმდებლობას, ქართული სამართალი არ შეიცავს განმარტებას, თუ რას ნიშნავს „პოლიტიკური“ დანაშაული. თუმცა, ზოგიერთი დანაშაული შეიძლება ჩაითვალოს პოლიტიკური ხასიათის მქონედ, მაგალითად - სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების ზოგიერთი სახის დარღვევა, კონსტიტუციური წესრიგის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები და ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულებიც კი.

<sup>9</sup> ეს, რასაკვირველია, არ ნიშნავს, რომ რომელიმე პრეზიდენტის დროს პოლიტიკური ნიშნით დაპატიმრებული ყველა პირი იყო სრულიად უდანაშაულო და არც ერთს არ მიუძღოდა ბრალი დანაშაულის ჩადენაში. თუმცა, ეს საკითხი აქ არ იქნება განხილული, ვინაიდან ჩვენი მიზანია, განვსაზღვროთ და გამოვყოთ ის დამახასიათებელი ნიშნები, რომელთა არსებობა საშუალებას გვაძლევს, საქართველოს სპეციფიკისა და საერთაშორისო სტანდარტების გათვალისწინებით, გამოვავლინოთ ის ძირითადი ნიშან-თვისებები, რომელთა გამოყენებით ჩვენს ქვეყანაში შესაძლებელი იქნება, დადგინდეს „პოლიტიკური პატიმრობის“ სტატუსი.

<sup>10</sup> <http://www.fidh.org/IMG/pdf/PolPrisGeorgia.pdf> გვ. 4

„პოლიტიკური პატიმრის“ განსაზღვრება ზეგავლენას ახდენს შესაძლო პოლიტიკური პატიმრების რაოდენობაზე საქართველოში. სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლები პოლიტიკური პატიმრების სხვადასხვა რაოდენობას ასახელებენ. არ არსებობს ერთიანი მიდგომა საქმისათვის პოლიტიკურად მოტივირებულის განსაზღვრების მინიჭების თაობაზე. წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ამ საკითხზე სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის მიერ ერთობლივი მუშაობის პირველ მცდელობას და საერთო პრინციპებზე შეთანხმებას. იგი დაეხმარება ნებისმიერ დაინტერესებულ ჯგუფს, განსაზღვროს, თუ რა კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში შეიძლება ეწოდოს პირს პოლიტიკური პატიმარი.

## 4. ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა

საქმეების ანალიზი საშუალებას გვაძლევს, ჩამოვყალიბოთ მოსაზრება, თუ რა კრიტერიუმებით განასხვავებს მოპყრობას ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლო. განსხვავებული მოპყრობის ერთ-ერთი ამკრძალავი კრიტერიუმი არის ისეთი საფუძველი, როგორცაა - პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებები.

### 4.1. დისკრიმინაცია

პოლიტიკური ნიშნით დევნის მსხვერპლთა საქმეები, როგორც წესი, დისკრინიმაციული მიდგომით გამოირჩევა. ეს ერთგვარ დამახასიათებელ ნიშნად გასდევს ნაციონალურ დონეზე წარმოებულ ყველა საქმეს, რაც საბოლოო ჯამში აისახება სასამართლო განაჩენებსა თუ სხვა გადაწყვეტილებებზე. დისკრინიმაციასთან დაკავშირებული ერთ-ერთი პირველი საქმე იყო *Belgian Linguistics V. Belgium*, რომელზეც მიღებულ გადაწყვეტილებაში სასამართლომ ჩამოაყალიბა ძირითადი პრინციპები და მიდგომები მე-14 მუხლთან მიმართებაში<sup>11</sup>:

„თანასწორობის პრინციპი ირღვევა, როდესაც განსხვავებას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება. გამართლების არსებობა უნდა შეფასდეს ღონისძიების მიზნებთან და შედეგებთან მიმართებით, რა დროსაც გათვალისწინებული უნდა იყოს ის პრინციპები, რომლებიც პრევალირებენ დემოკრატიულ საზოგადოებაში. მოპყრობის განსხვავება კონვენციით განსაზღვრული უფლების განხორციელებისას არა მარტო უნდა ემსახურებოდეს კანონიერ მიზანს, მე-14 მუხლის დარღვევა იკვეთება მაშინაც, როცა დადგინდება, რომ პროპორციულობის პრინციპი იყო დარღვეული მისაღწევი მიზნის განხორციელებასა და გამოყენებულ საშუალებას შორის“.

გარდა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-14 მუხლისა (რომელიც არ არის ამომწურავი), საქართველოს რატიფიცირებული აქვს კონვენციის მე-12 დამატებითი ოქმი, რომელიც ზოგადად კრძალავს დისკრიმინაციას, მათ შორის - პოლიტიკური ან სხვა შეხედულებიდან გამომდინარე.

<sup>11</sup> Non Discrimination in International Law, A handbook for Practitioners. 2011 Edition. INTERIGHTS, დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://www.interights.org/document/153/index.html> გვ. 41.

დისკრიმინაციასთან დაკავშირებით, ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს ჩამოყალიბული აქვს ძირითადი პრინციპები მე-14 მუხლთან მიმართებაში:

თანასწორობის პრინციპი ირღვევა, როდესაც განსხვავებულ მოპყრობას არ გააჩნია ობიექტური და გონივრული გამართლება. მე-14 მუხლის დარღვევა იკვეთება მაშინაც, როცა დადგინდება, რომ პროპორციულობის პრინციპი დარღვეული იყო მისაღწევი მიზნის განხორციელებასა და გამოყენებულ საშუალებას შორის.

ისეთ შემთხვევებში, როცა ადგილი აქვს პოლიტიკური ან განსხვავებული აზრის გამო სახელმწიფოს მიერ განხორციელებულ დისკრიმინაციულ ქმედებებს, სასამართლო იყენებს შემდეგ დადგენილ პრინციპებს<sup>12</sup>:

1. ჰქონდა თუ არა ადგილი განსხვავებულ მოპყრობას;
2. ახდენს თუ არა განსხვავებული ქმედება ზეგავლენას კონვენციით გარანტირებულ სუბსტანციურ უფლებაზე;
3. ემსახურება თუ არა ლეგიტიმურ მიზანს განსხვავებული მოპყრობა;
4. გამოყენებული საშუალებები არის თუ არა მისაღწევი ლეგიტიმური მიზნის პროპორციული;
5. არასათანადო მოპყრობის ხარისხი აჭარბებს თუ არა იმ თავისუფლებას, რაც მინიჭებული აქვთ სახელმწიფოებს კონვენციის გამოყენებისას.

#### **4.2. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება**

დისკრიმინაციულ მიდგომას, ძირითადად, ადგილი აქვს იმ პირების მიმართ, რომლებიც განსხვავებული პოლიტიკური ხედვითა და მოსაზრებებით გამოირჩევიან. შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება, რომელსაც ევროპული კონვენციის მე-11 მუხლი იცავს, მნიშვნელოვანწილად დაკავშირებულია პოლიტიკურ საქმიანობასთან და შესაბამისად, ხშირია შემთხვევები, როდესაც პოლიტიკურად აქტიური ადამიანები ამ მუხლით დადგენილი უფლების დარღვევის მსხვერპლნი ხდებიან. პოლიტიკური მოსაზრებების გამოხატვისა და პოლიტიკური გაერთიანებების თავისუფლებას ევროპული სასამართლო მიიჩნევს, როგორც დემოკრატიული საზოგადოების არსებობის და ფუნქციონირების ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან წინაპირობას.

თუმცა, მე-11 მუხლი იცავს შეკრებას, რომლის დროსაც არსებობს შეკრების მოწინააღმდეგე დემონსტრანტთა მიერ შეკრების ჩაშლის რეალური რისკი და მოსალოდნელი ძალადობის გამო, კონტროლს ვეღარ განახორციელებენ შეკრების ორგანიზატორები<sup>13</sup>.

ევროპული კონვენციის მე-9, მე-10 და მე-11 მუხლების პირველ ნაწილებში ჩამოყალიბებულია ისეთი ღირებულებები, როგორცაა:

2. აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს რელიგიის ან რწმენის შეცვლის თავისუფლებას და თავისუფლებას - როგორც პირადად, ისე სხვებთან ერთად და საჯაროდ ან კერძოდ გააცხადოს თავისი რელიგია ან რწმენა აღმსარებლობით,

<sup>12</sup> შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. (მე-11 მუხლი) ორგანიზაცია "ინტერაიტი". სახელმძღვანელო იურისტებისთვის, გამოცემულია ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით, 2011, დამატებითი ინფორმაციისთვის: <http://www.interights.org/document/108/index.html>. გვ. 33.

<sup>13</sup> Christians against Racism and Fascism v. the United Kingdom.

სწავლებით, რიტუალების შესრულებითა და დაცვით;

3. სიტყვის თავისუფლება, რომელიც, თავის მხრივ, მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს და გაავრცელოს ინფორმაცია და მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების მხრიდან ჩარევის გარეშე, მიუხედავად საზღვრებისა;

4. მშვიდობიანი შეკრების თავისუფლება და სხვებთან გაერთიანების თავისუფლება.

ზემოხსენებული უფლებები აბსოლუტური არ არის და ისინი შეიძლება, შეიზღუდოს სახელმწიფოს მიერ<sup>14</sup>: „ეროვნული უშიშროების, საზოგადოებრივი უსაფრთხოების, ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის ინტერესებიდან გამომდინარე, ან უწყესრიგობისა და დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ჯანმრთელობის ან ზნეობის, ანდა სხვათა უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის“.

ევროპული სასამართლოს განმარტებით, კონვენცია სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობაში გულისხმობს როგორც სახელმწიფოს მიერ მიღებულ კანონებს, ისე შიდა კანონმდებლობაში იმპლემენტირებულ საერთაშორისო ხელშეკრულებებს, როგორც დაწერილ, ისე დაუწერიელ კანონებს. დაუწერიელი კანონების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია სასამართლოს მიერ (რომელსაც სახელმწიფოსაგან აქვს დელეგირებული ეს უფლება) გამოტანილი გადაწყვეტილება, დადგენილი პრეცედენტი, რომელსაც ევროპის საბჭოს ცალკეულ ქვეყნებში კანონის თანაბარი ძალა აქვს, ნორმატიული აქტების შესახებ საქართველოს კანონის თანახმად კი საერთაშორისო ხელშეკრულებას და შეთანხმებას საქართველოს კონსტიტუციის, კონსტიტუციური კანონის და კონსტიტუციური შეთანხმების შემდეგ უპირატესი იურიდიული ძალა აქვს საქართველოს ტერიტორიაზე.

„ევროპული სასამართლო სიტყვაში - „კანონი“ იყენებს ფრაზას - „დადგენილია კანონით“, რომელშიც გულისხმობს როგორც დაწერილ (სტატუტებს), ისე დაუწერიელ კანონებს<sup>15</sup>, ანუ ქვეყანაში არსებულ პრაქტიკას, რომელსაც ახორციელებენ სახელმწიფო ორგანოები.

სახელმწიფოს მიერ განხორციელებული უფლების შეზღუდვა უნდა შეესაბამებოდეს კონვენციის მოთხოვნებს, რისთვისაც უნდა დაკმაყოფილდეს რამდენიმე კრიტერიუმი, კერძოდ<sup>16</sup>:

შეზღუდვა გათვალისწინებული უნდა იყოს სახელმწიფოს კანონმდებლობით;

- ა) კანონი, რომელიც ადგენს შეზღუდვას, უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
  - ბ) კანონი, რომელიც ადგენს შეზღუდვას, უნდა იყოს ნათელი (გათვალისწინებადი);
- შეზღუდვას უნდა ჰქონდეს ერთი ან რამდენიმე ლეგიტიმური მიზანი. შეზღუდვა აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში:

ა) უნდა არსებობდეს გადაუდებელი საზოგადოებრივი აუცილებლობა,

<sup>14</sup> შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით (მე-11 მუხლი). ორგანიზაცია „ინტერაიტსი“. სახელმძღვანელო იურისტებისთვის, გამოცემულია ღია საზოგადოების ინსტიტუტის მხარდაჭერით, 2011. დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://www.interights.org/document/108/index.html>. გვ. 32.

<sup>15</sup> Handyside v. the United Kingdom. დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57499> (განაცხადი № 5493/72) 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

<sup>16</sup> Malone v. the United Kingdom დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57533> განაცხადი №8691/79 1984 წლის 2 აგვისტოს გადაწყვეტილება.

ბ) შეზღუდვა უნდა იყოს იმ მიზნის პროპორციული, რომლის მიღწევაც სახელმწიფოს სურს ამ შეზღუდვით.

მაგრამ შეზღუდვის დადგენა კანონმდებლობით თავისთავად არ აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს. კანონისადმი, რომელიც ზღუდავს უფლებას, კონვენცია აწესებს შემდეგ მოთხოვნებს:

1. კანონი უნდა იყოს სამართლიანი;
2. კანონი უნდა იყოს ხელმისაწვდომი;
3. კანონი უნდა იყოს ნათელი.

თუ უფლების შეზღუდვა ხდება სახელმწიფოში არსებული არასწორი ანუ კონვენციასთან შეუსაბამო სახელმწიფო ორგანოების მიერ განხორციელებული პრაქტიკის შედეგად, რომელიც არ ისახავს ლეგიტიმურ მიზანს კონვენციის მოთხოვნებიდან გამომდინარე, ესეც ცალსახად წარმოადგენს უფლებათა დარღვევას. სახელმწიფო ორგანოების ნებისმიერი ქმედება უნდა იყოს კანონით განსაზღვრული, ხოლო გადაწყვეტილება უფლებამოსილი პირის მიერ უნდა იყოს მიღებული. ასევე კანონით უნდა იყოს დადგენილი ის პროცედურები, რომელთა საშუალებით, მოქალაქე გაასაჩივრებს სახელმწიფო ორგანოების ქმედებებსა და გადაწყვეტილებებს.

კონვენციის შესაბამისად, კანონის ხელმისაწვდომობაში იგულისხმება მოქალაქეების შესაძლებლობა, კანონის მიღებიდან გონივრულ ვადაში გაეცნონ და ჩაწვდნენ კანონის არსს, რომელიც დადგენილ საზღვრებში ზღუდავს მათ უფლებას, კომპეტენტური პირებისაგან მიიღონ აღნიშნული კანონის განმარტებები.

„პირველ რიგში, კანონი უნდა იყოს ადეკვატურად ხელმისაწვდომი: მოქალაქეს საშუალება უნდა ჰქონდეს, საჭიროების შემთხვევაში, მიიღოს კანონის განმარტება, რომელიც გამოიყენება მოცემულ საქმეზე შესაბამის პირობებში“.

„მეორე რიგში, ნორმა არ შეიძლება ჩაითვალოს კანონად [კონვენციის გაგებით], თუ იგი არ არის საკმარისად ნათლად, გასაგებად ჩამოყალიბებული იმისათვის, რომ მოქალაქემ არეგულიროს [მას შეუსაბამოს] თავისი ქცევა“<sup>17</sup>.

სახელმწიფოს მოქმედების პროპორციულობის შეფასებისას ევროპის სასამართლო განიხილავს:

- (1) რამდენად იყო სახელმწიფოს მიერ ადამიანის უფლებათა შეზღუდვა გადაუდებელი საზოგადოებრივი საჭიროების პროპორციული;
- (2) რამდენად შეესაბამება და აკმაყოფილებს კონვენციის მოთხოვნებს ის ლეგიტიმური მიზანი, რომლის მიღწევასაც სახელმწიფო ცდილობს უფლების შეზღუდვით<sup>18</sup>.

ევროპულმა სასამართლომ უკვე გამოიტანა გადაწყვეტილება საქმეზე „რამიშვილი და კობრიძე საქართველოს წინააღმდეგ“ (N. 1704/06, 27.01.2009), რომელიც ეხებოდა ბრალდებულების

<sup>17</sup> Handyside v. the United Kingdom. დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57499> (განაცხადი № 5493/72) 1976 წლის 7 დეკემბრის გადაწყვეტილება.

<sup>18</sup> Golder v. United Kingdom. დამატებითი ინფორმაციისათვის: <http://hudoc.echr.coe.int/sites/eng/pages/search.aspx?i=001-57496> (განაცხადი № 4451/70) 1975 წლის 21 თებერვლის გადაწყვეტილება.

წინასწარი დაკავების კანონიერებასა და დაკავების პირობებს აღნიშნულ პერიოდში. სასამართლომ დაადგინა ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის 3 მუხლის დარღვევა, რადგან განმცხადებლები თბილისის მე-5 საპრობილეში გადატვირთულ საკნებში იმყოფებოდნენ. ამავე დროს, სასამართლო პროცესზე რკინის გალიაში იხდნენ, მიუხედავად იმისა, რომ ისინი, ევროპული სასამართლოს თანახმად, „ცნობილი ადამიანები იყვნენ და მათგან საფრთხე არ მოდიოდა“ (პარაგრაფი 101). სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 1 პარაგრაფის ც პუნქტის დარღვევა იმ ფაქტთან დაკავშირებით, რომ 2005 წლის 27 ნოემბრიდან 2006 წლის 13 იანვრის ჩათვლით, ე. ი. 6 კვირაზე მეტ ხანს, განმცხადებლები იმყოფებოდნენ პატიმრობაში შესაბამისი სასამართლო გადაწყვეტილების გარეშე. სასამართლომ ასევე დაადგინა კონვენციის მე-5 მუხლის 4 პარაგრაფის დარღვევა, რომ განმცხადებლების საჩივარი მათი დაპატიმრების შესახებ არ იყო განხილული გონივრულ ვადაში.

თუმცა, განმცხადებლების საჩივრის ის ნაწილი, სადაც კონვენციის მე-10 (გამოხატვის თავისუფლება) და მე-18 (უფლებებზე შეზღუდვათა გამოყენების ფარგლები) მუხლების დარღვევაზე იყო საუბარი, სასამართლომ 2007 წლის 27 ივნისს დაუშვებლად სცნო. სასამართლომ გადაწყვიტა, რომ განმცხადებლების წინააღმდეგ წარმოებული სისხლის სამართლის დევნა არ ეწინააღმდეგებოდა კონვენციის ზემოაღნიშნულ მუხლებს. ამის გამო საქართველოს ხელისუფლება ცდილობდა, დაეკნინებინა სასამართლო გადაწყვეტილების მნიშვნელობა და ამტკიცებდა, რომ მე-3 მუხლთან დაკავშირებული საკითხები არ იყო აქტუალური, რადგან თბილისის მე-5 საპრობილე დაინგრა<sup>19</sup>.

წინასწარ დაკავებასთან დაკავშირებული საქმეები „თოფურია საქართველოს წინააღმდეგ“ ((N. 14694/07) და „დავითაია საქართველოს წინააღმდეგ“ (N. 14001/07) კომუნიფიცირდა 2008 წლის 18 ივლისს, ხოლო საქმე „თალაკვაძე საქართველოს წინააღმდეგ“ (N. 40969/06) კომუნიფიცირდა 2008 წლის 22 იანვარს. დანარჩენი საქმეები კი, რომლებიც ევროსასამართლოს წარედგინა ანგარიშის წერის პერიოდში, კომუნიფიცირების წინა ეტაპზე იყო.

## **5. საერთაშორისო ორგანიზაციების კრიტერიუმები - ევროპის საბჭო და საერთაშორისო ამნისტია**

### **5.1. ევროპის საბჭოს კრიტერიუმები**

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეამ 2012 წლის 26 ივნისს მიიღო რეზოლუცია, რომელიც ამტკიცებს პოლიტიკური პატიმრების შესახებ ქვემოთაღნიშნულ კრიტერიუმებს.<sup>20</sup>

ასამბლეა ევროპის საბჭოს ყველა წევრ ქვეყანას მოუწოდებს, ხელახლა შეისწავლოს შესაძლო პოლიტიკური პატიმრების საქმეები ევროსაბჭოს მიერ უკვე დამტკიცებული კრიტერიუმების მიხედვით და გაანთავისუფლოს ან ხელახლა სცადოს შესაბამისად მოპყრობა მსგავსი პატიმრების მიმართ.

<sup>19</sup> FIDH -ის ინტერვიუ თამარ ჩერგოლეიშვილთან. 2009 წლის 23 თებერვალი. FIDH-ის ინტერვიუ ინტერვიუ ლევან გაბუნიასთან. 2009 წლის თებერვალი.

<sup>20</sup> [http://assembly.coe.int/Communication/2012-06-26\\_ENpressajdoc21.pdf](http://assembly.coe.int/Communication/2012-06-26_ENpressajdoc21.pdf)

2000 წელს, ევროპის საბჭოში აზერბაიჯანის და სომხეთის მიღების საკითხის განხილვისას, „პოლიტიკური პატიმრების“ საკითხის შესწავლის მიმართულებით განსაკუთრებით გააქტიურდა ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეა.

2001 წელს ევროსაბჭოს გენერალურმა მდივანმა შეარჩია ექსპერტთა ჯგუფი, რომელსაც დაავალა სომხეთსა და აზერბაიჯანში პოლიტპატიმრების იდენტიფიცირებისათვის საჭირო კრიტერიუმების შემუშავება. ეს კრიტერიუმები 2001 წლის 3 მაისს იქნა მიღებული და გამოიყენებოდა 2001-2004 წლებში.<sup>21</sup> მიუხედავად იმისა, რომ ექსპერტთა ჯგუფს საქართველოს შესახებ არ უმსჯელია, მათ მიერ შემუშავებული კრიტერიუმები საქართველოში არსებულ საქმეებს შეგვიძლია მივუსადაგოთ.

### **ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2001 წლის 24 ოქტომბრის (SG/Inf) დოკუმენტის მიხედვით<sup>22</sup>:**

„თავისუფლებადკვეთილი პირი „პოლიტიკური პატიმრის“ გაგებას ექვემდებარება, თუ:

ა. თავისუფლების აღკვეთა გამოყენებულია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით და მისი პროტოკოლებით გარანტირებული რომელიმე უფლების, კერძოდ - სიტყვის, სინდისის და რელიგიის, გამოხატვის და ინფორმაციის გავრცელების, აგრეთვე შეკრებებისა და გაერთიანებების თავისუფლების უფლების დარღვევის საფუძველზე;

ბ. თავისუფლების აღკვეთა გამოყენებული იყო აშკარად პოლიტიკური მოტივებით, ყოველგვარი კანონდარღვევის გარეშე;

გ. პოლიტიკური მოტივების გამო პატიმრობის ხანგრძლივობა და პირობები აშკარად შეუსაბამოა იმ კანონდარღვევასთან, რისთვისაც პირი არის ბრალდებული ან მსჯავრდებული;

დ. პირი თავისუფლებადკვეთილია პოლიტიკური მოტივებით სხვა პირებთან შედარებით დისკრიმინაციული საფუძველით;

ე. თავისუფლების აღკვეთა მოხდა პროცესუალური გარანტიების აშკარა დარღვევებით და არსებობს ვარაუდის საფუძველი, რომ ეს დაკავშირებულია ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებთან<sup>23</sup>.

### **მტკიცების ტვირთი**

ვარაუდი, რომ პირი პოლიტიკური პატიმარია, უნდა დადასტურდეს *prima facie* „პირველადი მტკიცებულებებით“, რის შემდეგაც, სახელმწიფომ, რომელმაც თავისუფლება აღუკვეთა ამ პირს, უნდა დაამტკიცოს, რომ საქმის არსი, რისთვისაც გამოყენებულია აღკვეთის ეს ზომა, სრულად შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მოთხოვნებს; რომ დაცული იყო პროპორციულობისა და არადისკრიმინაციულობის მოთხოვნები და თავისუფლების აღკვეთა არის სამართლიანი პროცესუალური გარჩევის შედეგი<sup>24</sup>.

<sup>21</sup> SG/Inf (2001)34 პოლიტიკური პატიმრების საქმეები აზერბაიჯანსა და სომხეთში (24 ოქტომბერი 2001).

<sup>22</sup> ავტორები: სტეფან ტრეკსელი - ადამიანის უფლებათა ევროპული კომისიის ყოფილი პრეზიდენტი, ევერტ ალკმა - ნიდერლანდების სახელმწიფო საბჭოს წევრი, ადამიანის უფლებათა ევროკომისიის ყოფილი წევრი, ალექსანდრე არაბაჯიევი - ბულგარეთის საკონსტიტუციო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე და ადამიანის უფლებათა ევროკომისიის ყოფილი წევრი.

<sup>23</sup> „and this appears to be connected with political motives of the authorities“

<sup>24</sup> SG/Inf (2001)34, Cases of alleged political prisoners in Armenia and Azerbaijan (24 October 2001).

ამრიგად, პოლიტიკურ პატიმრად ცნობა პირს არ ათავისუფლებს სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისგან და არ შეიცავს მისი ქმედების მორალურ შეფასებას (განსხვავებით - „სინდისის პატიმრისაგან“). ეს ნიშნავს, რომ პოლიტიკურ პატიმრად ვინმეს ცნობით ჩვენ არ გვენიჭება მისი დაუყოვნებლივ და უპირობოდ გათავისუფლების მოთხოვნის მორალური უფლება, მაგრამ გვაქვს მის მიმართ სამართლიანი სასამართლოს მოთხოვნის უფლება. ჩვენ ცალკე კატეგორიად გამოვყოფთ საქმეებს, სადაც არსებობს პოლიტიკური მოტივებით დევნის ვარაუდის საფუძვლები. ამით გვინდა, ხაზგასმით ავღნიშნოთ, რომ ეს საქმეები იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, რადგან პოლიტიკური მოტივაციის არსებობის შემთხვევებში, არასამართლიანი სასამართლოს ჩატარების ალბათობა გაცილებით დიდია.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის 1359-ე რეზოლუციაში აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე „პოლიტპატიმრების“ კრიტერიუმების შესახებ აღნიშნულია:

- დაპატიმრებამდე პირი იყო პოლიტიკურად აქტიური და მისი დაპატიმრებით ხელისუფლებამ მიიღო პოლიტიკური სარგებელი;
- პირი შეგნებულად ან შეუგნებლად შეურაცხყოფდა ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებს;
- პირის დაპატიმრებას საფუძვლად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულებები და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ ყალბია მოწმის ჩვენება, რომლის გათვალისწინებითაც პატიმრობა გამოიყენეს;
- დაპატიმრებული ნათესაურ ან მეგობრულ ურთიერთობაში იმყოფება პირთან, რომელიც აქტიურ პოლიტიკურ საქმიანობას ახორციელებდა და არსებობს საფუძვლიანი ვარაუდი, რომ იგი ამის გამო დააპატიმრეს<sup>25</sup>.

ევროპის საბჭოს ექსპერტთა ჯგუფის მიერ დადგენილი კრიტერიუმები გამოყენებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიშში. სხვა ექსპერტები დამატებით ორ კრიტერიუმს იყენებენ: ადამიანის პოლიტიკური აქტიურობა, უკანონო სისხლის სამართლის დევნა (უკანონო პატიმრობა).

ეს ორი კრიტერიუმი „საერთაშორისო ამნისტიის“ კრიტერიუმებს ემთხვევა. კერძოდ: საქმე შეიცავს „შესამჩნევ პოლიტიკურ ელემენტს“; „საქმეზე მთავრობა არ უზრუნველყოფს „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის სამართლიან სასამართლოს“.

[შესაძლო პოლიტპატიმრის] პოლიტიკურ აქტიურობასთან კავშირი პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმია, „შესაძლო პოლიტპატიმარი“ ფართო გაგებით ის ადამიანია, რომლის მიმართაც ხორციელდება „ფუნდამენტური გარანტიების“ დარღვევა. ეს გარანტიები მოცემულია კრიტერიუმში (ა); გარდა ამისა ამ გარანტიებად მიიჩნევა ასევე „მხოლოდ და მხოლოდ პოლიტიკური მიზეზის“ არსებობა, რაზეც საუბარია კრიტერიუმ „ბ“-ში და „პოლიტიკური მოტივების“ არსებობა, რაც მოცემულია „გ“, „დ“ და „ე“ კრიტერიუმებში. პირველი კრიტერიუმის ფართო ინტერპრეტაცია საჭიროა ისეთ საქმეებთან დაკავშირებით, სადაც პირის დაპატიმრება შესაძლოა, უკავშირდებოდეს მისი ახლო ნათესავის პოლიტიკურ

<sup>25</sup> <https://wcd.coe.int/ViewDoc.jsp?id=232775&Site=COE>



აქტიურობას<sup>26</sup>. ამ კრიტერიუმის ინტერპრეტაციის შედეგად ასეთი პირის დაპატიმრება შეიძლება მიჩნეულ იქნას მძევლად აყვანის მაგალითად.

მეორე კრიტერიუმი – საქმის არასამართლიანი წარმოება - ყურადღებას ამახვილებს „ბ“, „გ“, „დ“ და „ე“ კრიტერიუმების შესაბამისი მოტივაციის არსებობაზე. მაგალითად, საქართველოს სახალხო დამცველი პოლიტიკური პატიმრების არსებობის აღიარებისას ხაზს უსვამს პროცედურულ დარღვევებს, რასაც პოლიტიკური მოტივის დამადასტურებელ სამხილად მიიჩნევს. „ზოგს ნარკოტიკი ჩაუდეს, ზოგს იარაღი. {...} ნათელია, რომ ყველა მათგანი არის პოლიტიკური პატიმარი. ჩვენმა გამოძიებამ საქმეებში ბევრი პროცედურული დარღვევა აღმოაჩინა“.<sup>27</sup>

**ევროსაბჭოს კრიტერიუმები ყველა იმ საქმეს მოიცავს, სადაც იკვეთება პოლიტიკური მოტივით დაპატიმრების ალბათობა:**

ადამიანს არ ჩაუდენია სისხლის სამართლის დანაშაული და საქმე მთლიანად გაყალბებული იყო - **კრიტერიუმი „ბ“;**

ადამიანმა ჩაიდინა დანაშაული, მაგრამ სასჯელი დანაშაულის არაპროპორციული, მკაცრი იყო – **კრიტერიუმი „გ“;**

ბრალდება მოიცავს როგორც ჩადენილ, ასევე გამოგონილ დანაშაულს – **კრიტერიუმები „ბ“ და „გ“;**

გამოძიებამ და სასამართლომ ბრალდება სამართლიანობის პრინციპის დარღვევით განიხილეს – **კრიტერიუმი „ე“.**

ადამიანი, სხვა პატიმრებთან შედარებით, პატიმრობის უარეს პირობებშია – **კრიტერიუმი „დ“.<sup>28</sup>**

„პოლიტპატიმრის“ განსაზღვრებებს შორის ძირეული განსხვავება არ არსებობს. თუმცა, ევროსაბჭოს კრიტერიუმები უფრო დეტალურია და კარგადაა დასაბუთებული ევროსაბჭოს ექსპერტთა ჯგუფის 2001 წლის ანგარიშებში.

პოლიტიკური მოტივაციის Prima Facie მტკიცებულება ზემოთხსენებული ყველა ორგანიზაციისათვის მნიშვნელოვანია შესაძლო პოლიტპატიმრის დაცვის დროს. თუ [პოლიტპატიმრის] დაცვის მხარემ არ წარმოადგინა პოლიტიკური მოტივაციის დამადასტურებელი სამხილი, მაშინ მიუღებელია მტკიცება, რომ „ეს ადამიანი მიტინგის დროს დააპატიმრეს და შესაბამისად ვერ იქნება ნარკომანი“ ან „ეს ადამიანი პოლიტიკური პარტიის წევრია და შეუძლებელია, დამნაშავე იყოს“.

არ არის აუცილებელი Prima Facie მტკიცებულება პირდაპირ იყოს დაკავშირებული ოფიციალურ ბრალდებასთან, რადგან პოლიტიკური მოტივი შესაძლოა, დამალული იყოს და არ აისახოს საბრალდებო დასკვნაში ან განაჩენში. თეორიულად ასეთი მტკიცებულება შეიძლება წარმოდგენილ იქნას სასამართლო პროცესის დროს. მტკიცებულება იმავე სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს, რასაც სხვა სისხლის სამართლის სასამართლოზე წარდგენილი

<sup>26</sup> მაგალითად, ნორა კვიციანი, კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორის ემზარ კვიციანის და.

<sup>27</sup> <http://www.kavkaz-uzel.ru/newstext/news/id/1203217.html>

<sup>28</sup> იხ. „ეკლემი ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“ (FIDH) „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (HRIDC), გვ. 6.

მტკიცებულებები.

ასეთი სახის მტკიცებულება დამაჯერებელი უნდა იყოს და არ უნდა აღძრავდეს ეჭვს მის უტყუარობაზე ან იმის შესახებ, თუ რა წყაროდან და რა ვითარებაშია ის მოპოვებული. მსხვერპლის/მოწმის/ექსპერტის ზეპირი და/ან წერილობითი ჩვენება და სხვა მსგავსი დოკუმენტები მისაღებია;

ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მისიამ აღმოაჩინა, რომ ასევე მისაღებია შემდეგი სახის მტკიცებულებები: მსჯავრდებულის ადვოკატებისა და მათი ოჯახის წევრთა ინტერვიუები; სასამართლოს გადაწყვეტილებები და ამ გადაწყვეტილებების თარგმანები;

წინასწარი მტკიცებულებების მოგროვება უფრო ადვილია თუ პოლიტპატიმარს ჰყავს ადვოკატი და თავად ან ადვოკატის დახმარებით უკვე მიმართა ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, რაც ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მისიის მიერ შესწავლილი რვა საქმიდან უმეტესობაში მოხდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ფუნდამენტური თავისუფლებების და კანონის დარღვევის შესახებ არსებული მტკიცებულებები უკვე მოგროვებული და სისტემატიზებულია<sup>29</sup>.

## 5.2 „საერთაშორისო ამნისტია“ (*Amnesty International*)

არასამთავრობო ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტიის“ განსაზღვრების თანახმად, „პოლიტიკური პატიმარი“ შეიძლება იყოს პიროვნება, რომელმაც დანაშაული პოლიტიკური მოტივით ჩაიდინა ან მის ქმედებას ჰქონდა გამოხატული პოლიტიკური კონტექსტი. ამასთან, საგულისხმოა, რომ „პოლიტპატიმარი“ არ გულისხმობს ასეთ პირთა ბოლომდე უდანაშაულობას. ზოგიერთ შემთხვევაში, პოლიტპატიმრები კრიმინალები არიან, მაგრამ, ვინაიდან დანაშაული პოლიტიკური მიზეზების გამო ჩაიდინეს, სასჯელი, ხელისუფლების პოლიტიკური მიზნების გამო, არ უნდა იყოს შეუფერებლად მკაცრი.

პირის პოლიტიკურ პატიმრად მიჩნევისათვის, აუცილებელია, მისი პატიმრობა მთლიანად ან ნაწილობრივ მაინც პოლიტიკურად იყოს მოტივირებული. ორგანიზაცია „საერთაშორისო ამნისტია“ ტერმინს „პოლიტიკური პატიმარი“ ფართო ინტერპრეტაციით იყენებს, რათა მოიცვას ყველა ის საქმე, რომელშიც შესამჩნევია პოლიტიკური ელემენტი.

საერთაშორისო ამნისტიის ტერმინ „პოლიტპატიმრის“ განსაზღვრების მომხრეთა აზრით, პოლიტპატიმრობა არ გულისხმობს რაიმე პრივილეგიას ან განსაკუთრებულ სტატუსს და აქედან გამომდინარე, „საერთაშორისო ამნისტია“ არ ითხოვს ყველა პოლიტიკური პატიმრის განთავისუფლებას და არც პოლიტპატიმრებისადმი განსაკუთრებულ მოპყრობას მთავრობისაგან. თუმცა, მთავრობას ავალდებულებს, ასეთი სახის პატიმრები უზრუნველყოს საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სამართლიანი სასამართლოთი.

<sup>29</sup> იხ. „ეკლემბი ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია“ (FIDH) „ადამიანის უფლებათა ცენტრი“ (HRIDC), გვ. 6. და <http://www.nplg.gov.ge/gwdict/index.php?a=term&d=6&t=5867> (15.03.2012)

## საერთაშორისო ამნისტიას პოლიტიკურ პატიმრად მიაჩნია<sup>30</sup>:

პირი, რომელიც დაკავებულია ბრალდების წარდგენის გარეშე პოლიტიკური არეულობების, დემონსტრაციების, ან სამოქალაქო დაუმორჩილებლობის აქციების დროს, თუ: (ა) დაკავებულად ითვლება საკუთარი აზრის გამოხატვის გამო, ან ხელისუფლებასთან ოპოზიციის გამო, ისე, რომ არ იყენებდა ძალადობრივ მეთოდებს. (ბ) უკანონოდაა დაკავებული რომელიმე ჯგუფისადმი მისი კუთვნილების გამო.

პირი, რომელიც ეკუთვნის დასახელებულ კატეგორიებს და რომელსაც მოგვიანებით წარუდგინეს ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულში აშკარად ცრუ საბაზით.

პირი, რომელიც ეკუთვნის ორივე დასახელებულ კატეგორიას და ბრალდებული და გასამართლებულია სამართლიანი სასამართლო პროცესის და შესაბამისი სამართლებრივი პროცედურის გარეშე.

პირი, რომელიც დაკავებულია რაიმე ძალადობრივ ქმედებაში ბრალდების გარეშე, მაგრამ ბრალდებული, ან ეჭვმიტანილია რომელიმე ისეთი ჯგუფისადმი კუთვნილებაში, რომელიც ახორციელებს ძალადობრივ ქმედებებს სახელმწიფოს წინააღმდეგ.

„საერთაშორისო ამნისტიის“ მიერ დამკვიდრებული „პოლიტიკური პატიმრის“ ტერმინის განსაზღვრება („პოლიტპატიმარი არის ნებისმიერი პატიმარი, რომლის საქმეშიც არსებობს პოლიტიკური ელემენტი, იქნება ეს ამ პატიმრის ქმედების მოტივაცია, თვითონ ქმედება თუ ხელისუფლების მოტივაცია“<sup>31</sup>) საკმაოდ ფართოა იმისათვის, რომ ჩვენი განსაზღვრების საფუძვლად მივიღოთ. კერძოდ, ეს განსაზღვრება პოლიტიკური პატიმრების კატეგორიაში აქცევს არა მხოლოდ პოლიტიკური საქმიანობით დაკავებულ ადამიანებს, არამედ იმათაც, ვინც არასოდეს ყოფილა ჩართული პოლიტიკაში. მაგალითად შეიძლება მოვიტანოთ საბჭოთა პერიოდში განხორციელებული იმ კატეგორიის ადამიანების „პროფილაქტიკური“ რეპრესიები, რომლებიც მიეკუთვნებოდნენ დიდგვაროვანთა კლასს ან სასულიერო პირებს ან რომელიმე კონკრეტულ ეროვნებებს (ჩეჩნები, მაჰმადიანი მესხები და ა. შ.). მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები რეპრესიების შიშით ერიდებოდნენ ყოველგვარ პოლიტიკურ მოღვაწეობას, მაინც ვერ გადაურჩნენ ამ რეპრესიებს.

„საერთაშორისო ამნისტიის“ განსაზღვრება არ უშვებს გამონაკლისს არც იმ პირების მიმართ, ვისაც ჩადენილი აქვს კრიმინალური დანაშაული პოლიტიკური მოტივებით. ამ განსაზღვრების მიხედვით, რაც უნდა საშინელი დანაშაული ჩაიდინოს ადამიანმა, თუ ამ დანაშაულში ფიგურირებს პოლიტიკური ელემენტი, იგი არის პოლიტიკური პატიმარი. ამ განსაზღვრებაში არაფერია ნათქვამი სასჯელის სამართლიანობაზე – უფლებადამცველების ვალია, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში გამოარკვიოს, რამდენად შეესაბამებოდა პირის მიმართ ჩატარებული სასამართლო პროცედურები სამართლიანი სასამართლოს საერთაშორისოდ აღიარებულ კრიტერიუმებს, ხოლო განაჩენი – მის მიერ ჩადენილ დანაშაულს. პატიმარი, რომელიც კანონიერი და სამართლიანი განაჩენით იხდის სასჯელს, ამ განსაზღვრების მიხედვით, ისეთივე პოლიტპატიმარია, როგორც უკანონოდ და უსამართლოდ მსჯავრდებული. სხვა საქმეა, რომ

<sup>30</sup> <http://www.amnesty-volunteer.org/aihandbook/ch3.html#Politicalprisoners>

<sup>31</sup> <http://www.amnesty-volunteer.org/aihandbook/ch3.html#Politicalprisoners>

კანონიერი და სამართლიანი განაჩენის შემთხვევაში, არ არსებობს მისი გადასინჯვის მოთხოვნის საფუძველი.

„საერთაშორისო ამნისტიის“ განსაზღვრების მიხედვით, „სინდისის პატიმარი“ არის ადამიანი, რომელიც პატიმრობაში იმყოფება მხოლოდ იმის გამო, რომ მშვიდობიანად გამოხატავდა თავის პოლიტიკურ, რელიგიურ ან მეცნიერულ შეხედულებებს, ანუ არ მიმართავდა ძალადობას და არ ახდენდა ძალადობის პროპაგანდას. როგორც წესი, „სინდისის პატიმრის“ სტატუსს პირს ანიჭებს „საერთაშორისო ამნისტია“.

## **6. საერთაშორისო და ადგილობრივი ანგარიშები საქართველოში პოლიტიკური პატიმრების შესახებ**

ბოლო პერიოდში, განსაკუთრებით კი 2007 წლის შემოდგომის საპროტესტო აქციების შემდეგ, ქართულ და საერთაშორისო საზოგადოებაში აქტიურად საუბრობენ საქართველოში პოლიტიკური დევნის ნიშნების არსებობაზე. რამდენიმე ანგარიში პირდაპირ მიემდინათ ამ საკითხს. ზოგიერთ ანგარიშში კი ეს საკითხი ქართული მართლმსაჯულების სხვა პრობლემებთან ერთად იყო განხილული. ამ თავში რამდენიმე ასეთ საერთაშორისო და ადგილობრივ ანგარიშს მიმოვიხილავთ.

აქვე აღვნიშნავთ, რომ ამ თავში განხილული ანგარიშები და კონკრეტული საქმეები არ არის ამომწურავი. შეიძლება ითქვას, რომ სხვა დოკუმენტებშიც არის საუბარი პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდებაზე და მაგალითების სახით მოყვანილია სხვა საქმეებიც. თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ვერ მოვიცავდით ყველა ანგარიშს, ამ კვლევაში განვიხილეთ ყველაზე მნიშვნელოვანი და უახლესი ანგარიშები და შესაბამისად, იქ მითითებული საქმეები.

კიდევ ერთხელ გვინდა, ხაზგასმით ვთქვათ, რომ შესაძლებელია, იყოს სხვა საქმეებიც, რომელთა მიმართ ასევე არსებობს დასაბუთებული ვარაუდი დაკავებისა თუ მსჯავრდების პოლიტიკურ მოტივთან დაკავშირებით, მაგრამ ჩვენ აქ მივუთითებთ მხოლოდ იმ საქმეებს, რომლებიც განხილულია ამ თავში მითითებულ ანგარიშებში.

### **6.1 ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის, ტომას ჰამერბერგის ანგარიში<sup>32</sup>**

ამ მხრივ, მნიშვნელოვანია, აღინიშნოს ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებათა კომისრის ტომას ჰამერბერგის 2011 წლის ანგარიში, რომელიც საქართველოს სასამართლო სისტემაში ადამიანის უფლებათა დაცვის დონეს ეხება.

ანგარიშში ცალკე თავი ეთმობა შერჩევითი მართლმსაჯულების საკითხს, სადაც აღნიშნულია, რომ კომისარი იღებდა შეტყობინებებს სხვადასხვა პირებისგან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს თავიანთი ან ახლობლების პოლიტიკური აქტივობის გამო. კომისრის განმარტებით, იგი ასევე იღებდა ინფორმაციას ადამიანის

<sup>32</sup> ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისრის, ტომას ჰამერბერგის ანგარიში - „მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში“ სტრასბურგი, 30 ივნისი, 2011.

უფლებების დამცველი ორგანიზაციებისა და ადვოკატებისაგან იმ პირთა საქმეების შესახებ, რომელთა უმეტესობაც მონაწილეობდა 2007 წლის ნოემბრისა და 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებში და რომლებიც სავარაუდოდ, გასამართლდნენ პოლიტიკური საფუძვლით. კომისარმა თავისი ვიზიტისას თავად მონაწილე სამი პატიმარი, ვლადიმერ ვახანია<sup>33</sup>, მერაბ რატიშვილი<sup>34</sup> და შალვა გოგინაშვილი<sup>35</sup>, რომლებიც თავს უკანონოდ გასამართლებულად თვლიდნენ.

აღნიშნული და სხვა საქმეების თაობაზე მიღებული ინფორმაციის შედეგად, რომელიც უკავშირდებოდა ამ საქმეებში სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევას, კომისარმა ანგარიშში გამოყო ისეთი მნიშვნელოვანი პრობლემები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებასთან დაკავშირებით, როგორცაა: არასაკმარისი მტკიცებულებების საფუძველზე სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება; საქმეების გამოძიებისას საგამოძიებო ორგანოების მიერ საქმესთან დაკავშირებული გარემოებების არასრულყოფილად დადგენა; პროცედურული დარღვევები ჩხრეკის დროს იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობასთან დაკავშირებულ სისხლის სამართლის საქმეებში; სასამართლო განხილვის დროს მოსამართლეების სისტემატური უარი დაცვის მხარის შუამდგომლობების დაკმაყოფილებაზე და ა.შ.<sup>36</sup>

საბოლოოდ კომისარმა ჩამოაყალიბა დასკვნები და რეკომენდაციები, სადაც აღნიშნა, რომ: „არსებობს საკმარისი რაოდენობით სანდო განცხადებები, ასევე - სხვა ინფორმაცია, რომელიც მიუთითებს ოპოზიციის აქტივისტების მიერ ჩადენილი სისხლის სამართლის სამართალდარღვევების გამოძიებისა და სამართალწარმოების პროცესში სერიოზული ხარვეზების არსებობაზე. ეს კი ეჭვქვეშ აყენებს ბრალდებისა და სასამართლოს მიერ მიღებული საბოლოო გადაწყვეტილების სამართლიანობას“<sup>37</sup>.

ზემოაღნიშნული მიგნებების საფუძველზე, კომისარმა მნიშვნელოვანი რეკომენდაციებითაც მიმართა საქართველოს ხელისუფლებას. პირველ რიგში, მან ხელისუფლებას მოუწოდა, საკითხისადმი საზოგადოების ინტერესის გათვალისწინებით, მკაფიო და გამჭვირვალე პასუხი გაეცა ხსენებულ საქმეებთან დაკავშირებულ სამართლიან შემფოთებაზე. მის ანგარიშში ასევე აღნიშნულია, რომ მკაცრი ზომების მიღებაა საჭირო, რათა უზრუნველყოფილი იყოს ბრალდებულთა სამართლებრივი გარანტიები და დაცული იყოს საპროცესო უფლებები სისხლის სამართლის სამართალწარმოების ყველა ეტაპზე.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ანგარიშში მნიშვნელოვან სისტემურ პრობლემებზეა საუბარი სისხლის

<sup>33</sup> იარაღის უკანონო შენახვისა და ჟურნალისტური საქმიანობის ხელშეშლის ბრალდებით, ოპოზიციური პარტიის დამფუძნებელ ვლადიმერ ვახანიას 3,5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

<sup>34</sup> ბიზნესმენი და ოპოზიციის მხარდამჭერი მერაბ რატიშვილი 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციების წინ დააკავეს და ნარკოტიკების უკანონო შენახვისათვის 8 წლით თავისუფლების აღკვეთა შეუფარდეს.

<sup>35</sup> 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციების მიმდინარეობის დროს დააკავეს, პოლიციელებისა და მომიტინგეთა შორის ფურცელადის ქუჩაზე მომხდარი ინციდენტის დროს. ბრალად ედება პოლიციის თანამშრომლის მკვლელობის მცდელობა და ხულიგნობა. შეეფარდა 15 წლით თავისუფლების აღკვეთა.

<sup>36</sup> იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის ტომას ჰამერბერგის ანგარიში „მართლმსაჯულების განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში“. სტრასბურგი 30 ივნისი, 2011. თავი IV, ქვეთავი 1, პარაგრაფი 82.

<sup>37</sup> იხ. ევროპის საბჭოს ადამიანის უფლებების კომისიის ტომას ჰამერბერგის ანგარიში „განხორციელება და ადამიანის უფლებების დაცვა საქართველოს სამართლებრივ სისტემაში“. სტრასბურგი 30 ივნისი, 2011. თავი IV, ქვეთავი 1, პარაგრაფი 84

სამართლის მართლმსაჯულებასთან მიმართებაში, რომლის გამოსწორებისთვის კომისარი მოითხოვს ქმედითი ნაბიჯების გადადგმას და მის მიერ დასახელებული სისხლის სამართლის საქმეებში არსებული პრობლემებისადმი ადეკვატურ რეაგირებას.

## **6.2 ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშები ადამიანის უფლებათა შესახებ**

პოლიტიკატიმრების საკითხს სპეციალური თავი აქვს დათმობილი ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2008<sup>38</sup>, 2009<sup>39</sup>, 2010<sup>40</sup> და 2011<sup>41</sup> წლების ადამიანის უფლებათა შესახებ ანგარიშებში. 2010 წლის ანგარიშში აღნიშნულია ერთი მნიშვნელოვანი ტენდენცია, რომ როგორც სხვადასხვა მხარეები აცხადებენ, ოპოზიციური პარტიების აქტივისტების დაკავებები, ძირითადად, ხორციელდებოდა იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ფლობის ბრალდებით და აღნიშნული დაკავებები უკავშირდებოდა 2009 წლის გაზაფხულის საპროტესტო აქციებს<sup>42</sup>. ანგარიშში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ აღნიშნულ საქმეებთან დაკავშირებით ხშირად იყო ნახსენები პროცედურული დარღვევები.

სახელმწიფო დეპარტამენტის ანგარიშის მიხედვით, 2007 წლის განმავლობაში ფიგურირებდა სამშობლოს ღალატის ორი გახმაურებული საქმე: ირაკლი ბათიაშვილის საქმე და ყოფილი სახელმწიფო უშიშროების მინისტრის, ივორ გიორგაძის 14 მოკავშირის საქმე, მათა თოფურიას ჩათვლით. ამასთან, მითითებულია სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის დასკვნა, რომელშიც მათა თოფურია დასახელდა როგორც პოლიტიკატიმარი<sup>43</sup>.

2009 წლის ანგარიშში აღნიშნულია: „წლის განმავლობაში იყო შეტყობინებები, რომ სამართალდამცავმა ოფიცრებმა პირს ჩაუდეს ნარკოტიკული ნივთიერება ან იარაღი დაპატიმრების და სისხლის სამართლის საქმის აღძვრის მიზნით. ბევრ შემთხვევაში, ეს ხდებოდა პოლიტიკური მოტივით. ზემოაღნიშნულ საქმეებში შეინიშნებოდა შემდეგი ძირითადი ტენდენციები: ბრალდება გამყარებული იყო მხოლოდ პოლიციის თანამშრომლების ჩვენების საფუძველზე; სასამართლო მედიცინისა და ბალისტიკური მონაცემები, რომლებიც დაადასტურებდნენ პოლიციის ჩვენებას, ჩვეულებრივ, არ იყო საქმეში წარმოდგენილი; პოლიცია ხშირად აწარმოებდა ჩხრეკას შესაბამისი ორდერის გარეშე; მართალია, ეს დამატებითი მტკიცებულება არ იყო კანონით სავალდებულო, მაგრამ მისი არარსებობა, განსაკუთრებით კი - პოლიტიკური მოტივით ბრალდების შემთხვევაში, დამკვირვებლებში გარკვეულ შეშფოთებას იწვევდა“<sup>44</sup>.

როგორც ვხედავთ, ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის დასკვნაში გამოყოფილია გარკვეული სისტემური პრობლემები სისხლის სამართლის მართლმსაჯულებაში. აღნიშნული ხარვეზები თავს იჩენს სწორედ ოპოზიციური პარტიების აქტივისტების დაკავებისას და მათ მიმართ

<sup>38</sup> [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2008-human-rights-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2008-human-rights-georgian.pdf)

<sup>39</sup> [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2009-human-rights-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2009-human-rights-georgian.pdf)

<sup>40</sup> [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2010-human-rights-report-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2010-human-rights-report-georgian.pdf)

<sup>41</sup> <http://www.state.gov/j/drl/rls/hrrpt/humanrightsreport/index.htm#wrapper>

<sup>42</sup> [http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2010-human-rights-report-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2010-human-rights-report-georgian.pdf)

<sup>44</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება გვ.203

<sup>44</sup> იხ. ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტის 2009 წლის ანგარიში, გვ 17-18

[http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt\\_reports/2009-human-rights-georgian.pdf](http://photos.state.gov/libraries/georgia/328666/govt_reports/2009-human-rights-georgian.pdf)

სისხლის სამართლებრივი დევნის განხორციელებისას. უნდა აღინიშნოს, რომ ჰამერბერგის ზემოაღნიშნულ ანგარიშშიც მსგავს პრობლემებზეა საუბარი.

### **6.3 ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიში**

შემდეგი ანგარიში, რომელიც საქართველოში პოლიტიკური პატიმრების საქმეებს ეხება, მომზადებულია ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის მიერ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციამ სპეციალური ანგარიში მიუძღვნა საქართველოში პოლიტიკური პატიმრებისა და პოლიტიკური დევნის საკითხებს<sup>45</sup>. აღნიშნული ანგარიში ეფუძნება ფედერაციის წარმომადგენლების 2009 წლის 19-25 თებერვლის ვიზიტს საქართველოში. ანგარიში, ძირითადად, ეხება 2007-2008 წლებში დაკავებულ პირებს.<sup>46</sup>

როგორც თავად ანგარიშშია აღნიშნული, ფედერაციის წარმომადგენლების მიზანი არ ყოფილა საქართველოში პოლიტიკური პატიმრების სიის დადგენა. შესაბამისად, იქ მითითებული საქმეები არ არის ამ ტიპის საქმეთა ამომწურავი ჩამონათვალი. არამედ ფედერაციის მიზანი იყო, განესაზღვრა, რამდენად არსებობდნენ საქართველოში პოლიტიკური პატიმრები. კვლევის მიზნებისთვის საქმეები დაჯგუფდა 5 კრიტერიუმის მიხედვით და ამ კრიტერიუმების შესაბამისად, თითო ან ორი საქმე გამოიყო ანალიზისთვის. შეირჩა შემდეგი კრიტერიუმები:

1. ე.წ. ნარკომანები ან ნარკოტიკების ტარებაში ბრალდებულები;
2. გაქცეული ადამიანების ოჯახის წევრები, რომლებიც გაქცეულთა დასასჯელად იყვნენ დაპატიმრებულები;
3. ე.წ. შეთქმულები, რომლებსაც მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულება ედებოდათ ბრალად.
4. ეკონომიკურ დანაშაულში ეჭვმიტანილი ბიზნესმენები;
5. ჟურნალისტები.<sup>47</sup>

ანალიზისთვის შეირჩა 8 საქმე<sup>48</sup> და ფედერაციამ ყველა ცალ-ცალკე განიხილა. დასკვნაში აისახა ინფორმაცია როგორც ამ პირთა პოლიტიკური და საზოგადოებრივი აქტიურობის შესახებ, ასევე

<sup>45</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიში „ეკლემები ვარდების შემდეგ – პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“. 2009.

<sup>46</sup> ანგარიშის მომზადების პროცესში ფედერაციის წარმომადგენლები შეხვდნენ დაკავებული პირების ადვოკატებსა და ოჯახის წევრებს, გაესაუბრნენ ადამიანის უფლებების დამცველ ორგანიზაციებსა და სახალხო დამცველს, შეისწავლეს საქმის მასალები და მოამზადეს დასკვნები შერჩეულ საქმეებზე ზემოაღნიშნულის შესაბამისად. ფედერაციის წარმომადგენლები შეხვდნენ სახელმწიფო სტრუქტურების წარმომადგენლებსაც.

<sup>47</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიში „ეკლემები ვარდების შემდეგ – პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“. 2009.

<sup>48</sup> ნორა კვიციანის<sup>48</sup> საქმე (კოდორის ხეობის ყოფილი გუბერნატორის ემზარ კვიციანის და; სასამართლომ ნორა კვიციანი დამნაშავედ ცნო ქონების მითვისებაში, უკანონო სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელობასა და ცეცხლსასროლი იარაღის შეძენა-ტარებაში). ჯონი ჯიქიას საქმე<sup>48</sup> (კონსერვატიული პარტიის წევრი; სასამართლომ ჯონი ჯიქია დამნაშავედ ცნო იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობაში), რევაზ კლდიაშვილის<sup>48</sup> საქმე (პარტია „ერთიანი საქართველოსთვის“ წევრი; სასამართლომ რევაზ კლდიაშვილი დამნაშავედ ცნო ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო ფლობასა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტებით სარგებლობაში), შალვა რამიშვილის<sup>48</sup> საქმე (ჟურნალისტი შალვა რამიშვილი სასამართლომ დამნაშავედ ცნო ფულის გამოძალავაში), მაია თოფურია<sup>48</sup> საქმე (იგორ გიორგაძის ნათესავი და პარტია „სამართლიანობის“ წევრი; სასამართლომ მაია თოფურია დამნაშავედ ცნო სახელმწიფო გადატრიალების მცდელობასა და იარაღის უკანონო შეძენა-შენახვაში). დემურ ანთიას<sup>48</sup> საქმე (კონსერვატიული პარტიის ზუგდიდის რეგიონალური ფილიალის ხელმძღვანელი; სასამართლომ დემურ ანთია დამნაშავედ ცნო იარაღის უკანონო ტარებაში). ომარ ქუცნაშვილის<sup>48</sup> საქმე (ბიზნესმენი; სასამართლომ ომარ ქუცნაშვილი დამნაშავედ ცნო სხვისი მოძრავი საგნების დიდი რაოდენობით უკანონოდ მითვისებასა და ყალბი საკრედიტო ბარათებისა და საგადასახადო დოკუმენტების წარმოება-გამოყენებაში) და მერაბ რატიშვილის<sup>48</sup> საქმე (ბიზნესმენი; სასამართლომ მერაბ რატიშვილი დამნაშავედ ცნო დიდი რაოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების უკანონო ფლობასა და მოხმარებაში).

მათ წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეებში არსებული კანონდარღვევები და ხარვეზები. ფედერაციის მისიის დასკვნით საქმეებში არსებული კანონდარღვევები და მათ გარშემო არსებული ფაქტობრივი გარემოებები იძლევა საფუძველს, აღნიშნული სისხლის სამართლის საქმეები პოლიტიკური ნიშნით წარმოებულ საქმეებად მივიჩნიოთ. კერძოდ, ანგარიშში აღინიშნა: „ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია საკითხის შესწავლის შედეგად ასკვნის, რომ საქართველოში არიან პოლიტპატიმრები. ანგარიშში პოლიტპატიმრების ამომწურავი სია არ არის მოცემული. მისი მიზანია 8 საპილოტო საქმის საფუძველზე წარმოაჩინოს ორგანიზაციის დასკვნა პოლიტპატიმრების საკითხთან დაკავშირებით. საპილოტო საქმეები აჩვენებს, თუ როგორ აკავებენ მთავრობის პოლიტიკურ ოპონენტებს, პოლიტიკური ოპოზიციის დამფინანსებლებს და ოპოზიციასთან დაკავშირებულ გავლენიან ადამიანებს სრულად ან ნაწილობრივ გაყალბებული სასამართლო საქმეების საფუძველზე. მათ წინააღმდეგ ყველაზე ხშირად შემდეგი სახის ბრალდებებს იყენებენ: იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო შენახვა, გამოძალვა და გადატრიალების მოწყობის მცდელობა“<sup>49</sup>. თუმცა, ფედერაციის დასკვნით, ზემოთთქმული არ ნიშნავს, რომ ყველა აღნიშნული პირი სრულიად უდანაშაულოა. უბრალოდ, დასკვნის მიხედვით, ყველა მათ საქმეში სრულად ან ნაწილობრივ გამოკვეთილია მსჯავრდების პოლიტიკური მოტივი.

#### **6.4. საქართველოს სახალხო დამცველის ანგარიშები**

პოლიტიკური დევნის საკითხებზე საუბარია სახალხო დამცველის რამდენიმე საანგარიშო მოხსენებაში. მაგალითად, სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ გაერთიანებული ოპოზიციის აქციების შემდეგ გახშირდა აქციაში მონაწილე პირებისა და მათი ახლობლების სისხლის სამართლის წესით დაკავება<sup>50</sup>. აღნიშნულ ანგარიშში საილუსტრაციოდ მოყვანილია იოსებ ჯანდიერისა<sup>51</sup> და როსტომ ონიანის<sup>52</sup> საქმეები. ორივე პირი მონაწილეობდა 2007 წლის შემოდგომის საპროტესტო აქციებში. ანგარიში ეხება ასევე ოპოზიციური პარტიის წარმომადგენლების ადმინისტრაციული დაკავების ფაქტებსაც. კერძოდ, ანგარიშში აღნიშნულია, რომ საანგარიშო პერიოდში გახშირდა ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისა და დაჯარიმების ფაქტები; რომ ასეთი რამ ხდებოდა მაშინ, როცა სავარაუდოდ, იგეგმებოდა საპროტესტო აქცია და მწვავედებოდა პოლიტიკური სიტუაცია<sup>53</sup>. ანგარიშში მოცემულია ორი საქმე - მერაბ ლოლობერიძისა<sup>54</sup> და გაერთიანებული ოპოზიციის წევრის, მალხაზ ხიზანიშვილის<sup>55</sup> საქმეები. ანგარიშის მიხედვით, ორივე პირი დააკავეს მათი პოლიტიკური აქტიურობის გამო.

2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენებაშიც გვხვდება პოლიტიკური დევნის საქმეები. ანგარიშში საკმაოდ ვრცელი ადგილი აქვს დათმობილი ყოფილი თავდაცვის მინისტრის, ირაკლი ოქრუაშვილის წინააღმდეგ მიმდინარე სისხლის სამართლის საქმეს.

<sup>49</sup> იხ. ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაციის ანგარიში “ ეკლესიის ვარდების შემდეგ – პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში”, 2009, გვ. 46.

<sup>50</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ. 17-18

<sup>51</sup> ნარკოტიკული საშუალების, მისი ანალოგის ან პრეკურსორის უკანონო დამზადება, წარმოება, შექმნა, შენახვა, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება.

<sup>52</sup> წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ და ხულიგნობა).

<sup>53</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2007 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ. 12

<sup>54</sup> დააკავეს ხულიგნობისთვის.

<sup>55</sup> დააკავეს სამართალდამცავი ორგანოების მუშაკის კანონიერი მოთხოვნისა ან განკარგულებისადმი დაუმორჩილებლობისთვის.



სახალხო დამცველი თავის ანგარიშში მიმოიხილავს ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის #1359 რეზოლუციას აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე. იგი აღნიშნავს, რომ ამ დოკუმენტში გვხვდება პოლიტიკური პატიმრობის კონკრეტული კრიტერიუმები და რომ ირაკლი ოქრუაშვილის საქმე შეესაბამება სწორედ ამ კრიტერიუმებს.<sup>56</sup> გარდა ამისა, იმ ფაქტზე დაყრდნობით, რომ საფრანგეთის სახელმწიფომ პოლიტიკური თავშესაფარი მისცა ირაკლი ოქრუაშვილს ანგარიშში გაკეთებულია დასკვნა, რომ 2007 წლის სექტემბერ-ოქტომბრის თვეში ყოფილი თავდაცვის მინისტრი იმყოფებოდა პოლიტიკურ პატიმრობაში<sup>57</sup>.

ანგარიშში მოხსენიებულია მერაბ რატიშვილისა და იოსებ ჯანდიერის საქმეებიც. მიმოხილულია მათი პოლიტიკური აქტიურობა და აღნიშნულია მათი პოლიტიკური ნიშნით მსჯავრდების სავარაუდო მოტივაცია. ანგარიშში ვკითხულობთ: „მერაბ რატიშვილისაგან, გათავისუფლების სანაცვლოდ, ითხოვდნენ ინფორმაციას პოლიტიკური ოპოზიციის ლიდერებზე. ხოლო 2007 წლის 7 ნოემბრის აქციის აქტიური მონაწილე იოსებ ჯანდიერი საკმაოდ დაახლოებული იყო ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირებთან. მიუხედავად ამისა, იგი სიტყვით გამოვიდა 2007 წლის 7 ნოემბრის მიტინგზე, რაც ღალატად იქნა აღქმული და ამის გამო განხორციელდა იოსებ ჯანდიერზე ანგარიშსწორება“.<sup>58</sup>

ანგარიშში აღნიშნულია, რომ ყველაზე ტიპურ პოლიტიკურ დანაშაულს წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე მუხლი. აღნიშნული ნორმის შესაბამისად, ისჯება „პოლიციის მუშაკის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ წინააღმდეგობა საზოგადოებრივი წესრიგის დაცვისათვის ხელის შეშლის, მისი საქმიანობის შეწყვეტის ან შეცვლის მიზნით, აგრეთვე აშკარა უკანონო ქმედებისათვის მისი იძულება, ჩადენილი ძალადობით ან ძალადობის მუქარით“.<sup>59</sup> ანგარიშში აღნიშნულია, რომ ამ საქმეებში მხოლოდ პოლიციელები ადასტურებდნენ დანაშაულის ჩადენის ფაქტს და რომ თავად სახალხო დამცველის მიერ გამოკითხული ფაქტის შემსწრე პირები უარყოფდნენ დაკავებულთა მხრიდან პოლიციისათვის ფიზიკური ან სიტყვიერი შეურაცხყოფის ფაქტს.

ანგარიშში, ასევე, საუბარია პოლიტიკური ოპონენტების იარაღისა და ნარკოტიკების უკანონო ფლობასთან დაკავშირებული ბრალდებებით დაკავების ფაქტებზე და ამ კონტექსტში, აღნიშნულია სამი ყოფილი სამართალდამცავის<sup>60</sup> -საქმეები. ანგარიშში მითითებულია, რომ „ძალიან ადვილია, ზემოხსენებული მუხლების საფუძველზე ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამომიებო მოქმედებების განხორციელებისას მტკიცებულებათა ფაბრიკაცია. ეს გამოწვეულია იმით, რომ აღნიშნული ქმედების ჩადენისათვის ბრალის წასაყენებლად არ არის დადგენილი მტკიცებულებათა მაღალი სტანდარტი“<sup>61</sup>.

<sup>56</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ.14.

<sup>57</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ. 12.

<sup>58</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ.15.

<sup>59</sup> ამ კონტექსტში მოხსენიებულია ხუთი პირის საქმე - ზაალ ქოჩლაძე, ლევან ბარაბაძე, ლევან მინაშვილი, ილია წურწუშია, როსტომ ონიანი, რომლებიც 2008 წლის 13 თებერვალს „ერთიანი ეროვნული საბჭოს“ მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკური პატიმრების სიაშიც არიან მოხვედრილები. ყველა მათგანი მონაწილეობდა 2007 წლის ნოემბრის საპროტესტო აქციაში.

<sup>60</sup> რევაზ კლდიაშვილის (საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სამხედრო პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე), დავით ტატიშვილის (ქალაქ თბილისის ისანი-სამგორის შს რაიონული სამმართველოს უფროსი) და მიხეილ გიორგაძის (ქალაქ თბილისის მთაწმინდა-კრწანისის შს რაიონული სამმართველოს უფროსი)

<sup>61</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ.17

ზემოაღნიშნული სამი საქმე ანგარიშში სწორედ ასეთი ფაბრიკაციის მაგალითადაა მოყვანილი.

2008 წლის მეორე ნახევრის ანგარიშში მოხვდა ლეიბორისტული პარტიის წევრის, არჩილ ბენიძის საქმე. იგი ექვმიტანილი იყო ორგანიზებული ჯგუფის მიერ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება. ანგარიშის მიხედვით, საქმეში არსებობს არაერთი ხარვეზი, რაც იძლევა საფუძველს ითქვას, რომ არჩილ ბენიძის, როგორც ლეიბორისტული პარტიის წევრის მიმართ, განხორციელდა პოლიტიკური დევნა. არჩილ ბენიძის შემთხვევაში, მის დაპატიმრებას საფუძველად დაედო არაადეკვატური და საკამათო მტკიცებულებები<sup>62</sup>.

სახალხო დამცველმა, ასევე, შეისწავლა ნორა კვიციანი-არღვლიანის საქმე. მას ბრალი დაედო უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნაში, ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის მართლსაწინააღმდეგო შექმნა-შენახვაში; სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მის მართლზომიერ მფლობელობასა და გამგებლობაში მყოფი დიდი ოდენობით სხვისი ნივთის მართლსაწინააღმდეგო მითვისებაში.

საქმის მასალების შესწავლის შედეგად, ანგარიშში მითითებულია, რომ გამომძიებელმა, პროკურორმა და სასამართლომ უტყუარად არ დაადგინეს ნორა კვიციანი-არღვლიანის მიერ დანაშაულის ჩადენის ფაქტი. აღნიშნულ ბრალდებებთან დაკავშირებით, არ ჩატარებულა საქმის ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოძიება, არ დაკმყოფილებულა დაცვის მხარის ობიექტური მოთხოვნები მოწმეთა დაკითხვასთან დაკავშირებით და საერთოდ არ წარმართულა გამოძიება ბრალდებულის გამამართლებელი გარემოებების მოსაკვლევადა. ანგარიშში მითითებულია, რომ ზემოაღნიშნული გარემოებების ქრონოლოგია ბუნებრივად ბადებს ეჭვს, რომ ნორა კვიციანი-არღვლიანის მიმართ ხორციელდება მიზანმიმართული სისხლისსამართლებრივი დევნა მისი ძმის, ემზარ კვიციანის ქმედებების გამო<sup>63</sup>.

სახალხო დამცველმა შეისწავლა მაია თოფურიას, თემურ ჟორჯოლიანის და სხვათა სისხლის სამართლის საქმეები<sup>64</sup> (სახელმწიფო ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად შეთქმულების ფორმით და სახელმწიფო ღალატი სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად და ხელში ჩასაგდებად ამბოხების მომზადების ფორმით). აღნიშნულ საქმეებშიც, სახალხო დამცველის დასკვნით, გამოკვეთილია პოლიტიკური მოტივი. ანგარიშის მიხედვით, შესწავლის შედეგად გამოიკვეთა ბევრი ხარვეზი. მაია თოფურიასა და სხვათა საქმეზე გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი უმთავრესად ეფუძნება დამაჯერებლობას მოკლებულ მტკიცებულებებს. სასამართლომ უტყუარი მტკიცებულებებით ვერ დაადასტურა იგორ გიორგაძის პარტიის – „სამართლიანობის“ წევრებისა და მისი მხარდამჭერების ბრალეულობის საკითხი<sup>65</sup>.

უნდა აღინიშნოს, რომ ყველა აღნიშნული საქმე განხილულია ზემოთ უკვე ნახსენები ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის 2004 წლის #1359 რეზოლუციის (აზერბაიჯანში პოლიტიკური პატიმრების თაობაზე) კრილში. საქმის მასალების, პოლიტიკური ფონისა და კონკრეტული გარემოებების ანალიზის შემდეგ რეზოლუციაში მითითებულ კრიტერიუმებზე დაყრდნობით

<sup>62</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის პირველი ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ.17, გვ.197-198

<sup>63</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ. 201-202

<sup>64</sup> იგორ გიორგაძის პარტია „სამართლიანობის“ წევრები.

<sup>65</sup> იხ. საქართველოს სახალხო დამცველის 2008 წლის მეორე ნახევრის საანგარიშო მოხსენება, გვ.203

გაკეთებულია დასკვნები ზემოაღნიშნულ პირთა პოლიტიკურ დევნასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ უნდა ითქვას, რომ სახალხო დამცველი თავის ანგარიშებში ცალსახად საუბრობს ოპოზიციური პარტიების წარმომადგენელთა მასობრივ დაკავებებზე სწორედ საპროტესტო აქციების დროს, რასაც გარკვეულწილად, უკავშირებს საპროტესტო აქციებს. ყველა საქმე, რომელიც ამ ანგარიშებშია განხილული, ორი მიმართულებითაა შესწავლილი. ერთი მხრივ, ჩამოთვლილია ის პრობლემები, რაც თავად საქმეშია ანუ მტკიცებულებების არასაკმარისობა ან არასანდოობა, პროცედურული დარღვევები და ა.შ. მეორე მხრივ კი, გაანალიზებულია პოლიტიკური კონტექსტი და დაკავებული პირის თუ მისი ოჯახის წევრის პოლიტიკური აქტივობა, რის შემდეგაც ამ ორი ფაქტორის საფუძველზე, გაკეთებულია ანალიზი ამა თუ იმ პირის პოლიტიკურ მსჯავრდებასთან დაკავშირებით.

### **6.5 საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ანგარიში - სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები**

სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეების ანალიზი 2011 წელს განახორციელა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ. ანალიზის მიზანი იყო კონკრეტული საქმის შესწავლა და დადგენა, თუ რა მოცულობით შეეძლო, გავლენა მოეხდინა პოლიტიკურ მოტივს წინასწარ გამოძიებასა და სასამართლო განხილვაზე, რაც განხორციელდა კონკრეტულ საქმეებში საპროცესო და მატერიალური სამართლებრივი ნორმების დაცვის შეფასებით<sup>66</sup>.

კვლევაში განხილულია, ძირითადად, 2009 წლის გაზაფხულზე საპროტესტო აქციების მიმდინარეობისას და შემდგომ პერიოდში დაკავებულ/დაპატიმრებულ პირთა საქმეები. როგორც ანგარიშშია მითითებული, „კვლევისათვის შეირჩა 24 საქმე, აქედან - 6 ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და 18 სისხლის სამართლის. თერთმეტ სისხლის სამართლის საქმეში ძირითად ბრალდებას ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობა წარმოადგენს, ვინაიდან სწორედ აღნიშნულ პერიოდში იმატა მოცემული ბრალდებით საპროტესტო აქციებში მონაწილე პირთა და ოპოზიციის აქტივისტების დაკავების ფაქტებმა. დანარჩენი საქმეები კვლევისათვის საინტერესო აღმოჩნდა თავად დაკავებულის ცნობადობის ან მისი პარტიულობის, ასევე დაკავებულის უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური აქტივობის გამო“<sup>67</sup>.

კვლევის მიხედვით, ცეცხლსასროლი იარაღისა და ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ფლობასთან დაკავშირებული თითოეული საქმის<sup>68</sup> ინდივიდუალობის მიუხედავად, ყველა საქმეში იკვეთება საერთო ტენდენციები, კერძოდ: გამოძიების დაწყებისა და ჩხრევის ჩატარების საფუძველს წარმოადგენს ოპერატიული ინფორმაცია, რომელიც გადამოწმებას არ ექვემდებარება.

<sup>66</sup> იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“. 2011 წელი.

<sup>67</sup> იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“. 2011 წელი. გვ 3-4.

<sup>68</sup> კვლევაში განხილულია შემდეგ პირთა საქმეები: მერაბ ქათამაძე, მამუკა ცინცაძე, ვლადიმერ ვახანია, გოჩა ჯიქია, თამაზ ტლაშაძე, დავით გუდაძე, რომან კაკაშვილი, მამუკა შენგელია, ედიშერ ჯობავა, ზურიკო (მამუკა) ჩხვიმიანი და მერაბ რატიშვილი.

ყველა საქმეში ჩხრეკა ჩატარებულია გადაუდებელი აუცილებლობის რეჟიმში, კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი დასაბუთების გარეშე. ჩხრეკის დროს, უმრავლეს შემთხვევაში, არ ხდებოდა დამსწრეების მოწვევა და შესაბამისად, ამ საქმეებში მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები ადასტურებდნენ იარაღის ან ნარკოტიკული საშუალებების ამოღების ფაქტს. გამოძიების ეტაპზე უმრავლეს საქმეში არ არის ჩატარებული დანაშაულის საგნის (იარაღის, ნარკოტიკის) ექსპერტიზა სავარაუდო კუთვნილების დასადგენად. ასევე სასამართლო პროცესზეც არ არის გამოკვლეული ნივთიერი მტკიცებულებები<sup>69</sup>.

ცეცხლსასროლ იარაღთან დაკავშირებულ დანაშაულთა უმრავლესობაში პირები დამნაშავედ ცნეს იარაღის შექმნისთვისაც, მიუხედავად იმისა, რომ საბრალდებო დასკვნაში, ისევე როგორც გამამტყუნებელ განაჩენში, ბრალის ფორმულირება მოიცავს განსასჯელთა მიერ ცეცხლსასროლი იარაღის შექმნას დაუდგენელ დროსა და ვითარებაში, ე.ი. სახეზეა პირის მსჯავრდება ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე.

კვლევაში განხილულ დანარჩენ სისხლის სამართლის საქმეებში<sup>70</sup> სისხლის სამართლის კოდექსის კონკრეტული მუხლით ქმედების კვალიფიკაცია სერიოზულ კითხვებს აჩენს. დასკვნების მიხედვით, აღნიშნულ საქმეებში „სასამართლომ არ იმსჯელა იმ აუცილებელ გარემოებებზე, რომელთა დადგენა იმპერატიულად ევალებოდა კონკრეტული მუხლებით ქმედებათა კვალიფიკაციის დროს: განზრახვა, მოტივი, მიზანი. გამოიკვეთა ქმედების უფრო მკაცრი მუხლით კვალიფიკაცია, ვიდრე ამ ქმედებისათვის კანონით იყო განსაზღვრული და, ასევე ტენდენცია, რომ სამოქალაქო დელიქტისაგან მკვეთრად არ გაიმიჯნა სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება“<sup>71</sup>.

კვლევაში განხილულია 2009 წლის 15 ივნისის და 2010 წლის 14 აგვისტოს საპროტესტო აქციების დროს პოლიციელების მიერ ადმინისტრაციული წესით დაკავებულ პირთა საქმეები<sup>72</sup>. აღნიშნული საქმეების ანალიზისას გამოყოფილია ზოგადად ის პრობლემები, რაც ადმინისტრაციულ პატიმრობას და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს უკავშირდება. გაკეთებულია დასკვნა, რომ ამ ტიპის საქმეების განხილვა ფორმალური ხასიათისაა და არსებითად საქმის გამოკვლევას არ ემსახურება. ამის მაგალითად მოყვანილია ფაქტები, რომ შესწავლილ საქმეებში სასამართლომ რეალურად არ გამოიკვლია, თუ რაში გამოიხატა წვრილმანი ხულიგნობა ან მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა. სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ პოლიციელთა ახსნა-განმარტებებს და არ დაასაბუთა, რატომ არ გაიზიარა დაკავებულთა ჩვენებები. ანგარიშის მიხედვით, დაკავებული პირები დაკავებისას და დაკავების შემდეგაც დაექვემდებარნენ არასათანადო მოპყრობას პოლიციელების მხრიდან,

<sup>69</sup> იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“. 2011 წელი. გვ 4-5.

<sup>70</sup> კვლევაში განხილულია ლევან გოგიჩაიშვილის, მელორ ვაჩნაძის, სერგო ბესელიასა და რატი მილორავას, ნელი ნავერიანის, დავით ჟორჟოლიანის, კოტე კაპანაძისა და შალვა გოგინაშვილის სისხლის სამართლის საქმეები.

<sup>71</sup> იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“. 2011 წელი. გვ.5-6.

<sup>72</sup> 2009 წლის 15 ივნისის საპროტესტო აქციის დროს პოლიციის მიერ წვრილმანი ხულიგნობის და სამართალდამცავი ორგანოების მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობისთვის 30 დღით ადმინისტრაციული წესით დაპატიმრებულ იქნა: დაჩი ცაგურია, მერაბ ჭიქაშვილი, მიხეილ მესხი, გიორგი საბანაძე და გიორგი ჩითარიშვილი. ასევე 2010 წლის 14 აგვისტოს ჯორჯ ბუმისა და ლეხ კაჩინსკის ქუჩების კვეთაზე მიმდინარე მშვიდობიან აქციაში მონაწილეობის დროს დააკავეს და შემდეგ სასამართლომ დააჯარიმა ირაკლი კაკაბაძე, შოთა დიდმელაშვილი და ალექსი ჩიღვინაძე.

მაგრამ ამ ფაქტებს არ მოჰყოლია ეფექტური გამოძიება.

თავად ანგარიშში მითითებულია დასკვნა, რომლის მიხედვითაც დგინდება, რომ საქმეების სამართლებრივმა ანალიზმა გამოავლინა სერიოზული ხარვეზები სისხლის სამართლის მართლმსაჯულების განხორციელებისას იმ პირთა მიმართ, რომლებიც საკუთარი ან უახლოესი გარემოცვის პოლიტიკური საქმიანობის ან საზოგადოებრივი აქტივობის გამო, ხელისუფლების შესაძლო ოპონენტებად შეიძლება ჩაითვალოს<sup>73</sup>.

საბოლოოდ, ეს თავი რომ შევაჯამოთ და გამოვყოთ ძირითადი მნიშვნელოვანი ტენდენციები, უნდა აღინიშნოს შემდეგი:

მთავარი ტენდენცია, რაც იკვეთება, არის ის, რომ ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებს მასობრივად აკავებენ სწორედ ქვეყანაში პოლიტიკურად დამაბულ პერიოდში. იგულისხმება ოპოზიციური პარტიების მასშტაბური საპროტესტო აქციები (2007 და 2009 წლები). სწორედ ამ პერიოდებში ოპოზიციის წარმომადგენელთა დაკავებები შესამჩნევად იზრდება.

მეორე ტენდენცია, რაც ასევე ვლინდება, არის ის, რომ ოპოზიციური პარტიების აქტივისტებს ხშირად იარაღისა და ნარკოტიკის უკანონო ფლობის ფაქტებთან დაკავშირებით აკავებენ. აღნიშნული საქმეები ძალიან ჰგავს ერთმანეთს და ყველგან მსგავსი ტიპის დარღვევებია. ამასთან, სამართალდამცავი ორგანოები და სასამართლოც მტკიცების დაბალ სტანდარტს იყენებენ ასეთი ტიპის საქმეებში. შედეგად, რომ უმრავლეს საქმეებში მხოლოდ პოლიციის თანამშრომლები ადასტურებენ დანაშაულის ფაქტს, ჩხრეკა და ამოღება მიმდინარეობს ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე, არ ტარდება დამატებითი ექსპერტიზები, არც სასამართლო ითხოვს უფრო მყარ მტკიცებულებებს და მისთვის, უმრავლეს შემთხვევაში, მხოლოდ პოლიციელების ჩვენება კმარა გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად, მაშინ, როცა სხვა ფაქტები აღნიშნული ჩვენების საწინააღმდეგოდ მეტყველებს.

სამივე ორგანიზაცია<sup>74</sup>, რომლებმაც კონკრეტული საქმეები შეისწავლეს, თითოეულ საქმეში ავლენს მატერიალური თუ პროცესუალური ნორმების უხეშ დარღვევებს, შემდეგ აანალიზებს პოლიტიკურ ფონს და იმ პირთა თუ მათი ახლობლების/ოჯახის წევრების პოლიტიკურ საქმიანობას, რომელთა მსჯავრდებაც მოხდა და ამის შესაბამისად, გამოაქვს დასკვნები სისხლის სამართლებრივი დევნის სავარაუდო პოლიტიკურ მოტივაციასთან დაკავშირებით.

საბოლოოდ, უნდა აღინიშნოს, რომ ზემოაღნიშნული ტენდენციები ყურადსაღებია და აუცილებელია, ადეკვატური რეაგირება მოჰყვეს მითითებულ ფაქტებს<sup>75</sup>. იმ პატიმართა ნაწილი, რომელთა საქმეები განხილულია ამ ანგარიშებში, დღესაც სასჯელს იხდიან. არადა, მათ მიმართ წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში უამრავი შეუსაბამობა, ხარვეზი და მატერიალური თუ პროცესუალური ნორმების დარღვევაა დაფიქსირებული.

<sup>73</sup> იხ. საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის კვლევა „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“. 2011 წელი. გვ.7.

<sup>74</sup> სახალხო დამცველის ოფისი, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია.

<sup>75</sup> ხელისუფლებას, ხსენებულ საკითხებთან დაკავშირებით მკაფიო და გამჭვირვალე პასუხის გაცემისკენ მოუწოდებს ტომას ჰამერბერგი თავის ანგარიშში იხ. თავი 6.1.

## 7. საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკატიმრები

წინამდებარე თავში მოკლედ მიმოვიხილავთ საქართველოში არსებულ სამართლებრივ რეგულაციებს, რომლებიც შესაძლოა, უკავშირდებოდეს პოლიტიკატიმრების საკითხს. „სამართლებრივ რეგულირებაში“ იგულისხმება სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსებით გათვალისწინებული ზოგიერთი ის დანაშაული/სამართალდარღვევა, რომლებიც ყველაზე აქტუალურია სავარაუდო პოლიტიკური პატიმრების წინააღმდეგ მათი გამოყენების თვალსაზრისით.

ვინაიდან არ არსებობს ტერმინ „პოლიტიკატიმრის“ ერთიანი დეფინიცია და შესაბამისად, არც ქართული კანონმდებლობა განსაზღვრავს მას, ტერმინი „პოლიტიკატიმარი“ წარმოგვიდგება როგორც არაოფიციალური სტატუსი, რომელიც, ფართო გაგებით, შეიძლება მიესადაგოს იმ პირს, რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლისსამართლებრივი დევნა მისი პოლიტიკური მრწამსის/საქმიანობის გამო.

### 7.1. სისხლის სამართალწარმოება

რაც შეეხება უშუალოდ სამართლებრივ ნორმებს, საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში არ არსებობს „პოლიტიკურ“ დანაშაულებებთან დაკავშირებული ცალკე თავი ან მუხლი. თუმცა, ზოგიერთი დანაშაული პოლიტიკურად ითვლება,<sup>76</sup> მაგალითად, სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების გარკვეული სახის დარღვევა (სსკ XXIII თავი),<sup>77</sup> დანაშაული საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის წინააღმდეგ (სსკ XXX თავი),<sup>78</sup> დანაშაული საქართველოს კონსტიტუციური წყობილებისა და უშიშროების საფუძვლების წინააღმდეგ (სსკ XXXVII თავი),<sup>79</sup> ტერორიზმთან დაკავშირებული დანაშაულები (სსკ XXXVIII თავი)<sup>80</sup>. აქვე აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკებსა ან იარაღთან დაკავშირებული დანაშაული არ არის პოლიტიკური დანაშაული, თუმცა ზემოთ ნახსენები არაერთი საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების ანგარიშები ადასტურებენ იმ ფაქტს, რომ პოლიტიკური დევნისას ხშირად ამ მუხლის საფუძველზე წარმართება სისხლისსამართლებრივი დევნა.

იმ შემთხვევაში, თუ პროკურატურა და სასამართლო, რომელიმე კონკრეტულ ვითარებაში, დემონსტრანტების მოქმედებებს შეაფასებს, როგორც, მაგალითად, განსაკუთრებული

<sup>76</sup> „ეკლები ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC), *თარგმანი თამარ ბოლქვაძის*, გვ. 6.

<sup>77</sup> მაგალითად, ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა (მუხლი 154); სიტყვის თავისუფლების ხელყოფა (მუხლი 153); საარჩევნო ან სარეგულაციო კომისიის მუშაობისათვის ხელის შეშლა (მუხლი 163); ამომრჩევლის მოსყიდვა (მუხლი 164<sup>1</sup>).

<sup>78</sup> მაგალითად, ტელერადიომაუწყებლობის ან კავშირგაბმულობის დაწესებულების ანდა სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება (მუხლი 222); სატრანსპორტო კომუნიკაციების ბლოკირება (მუხლი 222); უკანონო ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა ანდა მისი დაფინანსება (მუხლი 223).

<sup>79</sup> მაგალითად, სახელმწიფო საიდუმლოების გაცემა (მუხლი 313); ჯაშუშობა (მუხლი 314); შეთქმულება ან ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად (მუხლი 315); მოწოდება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შეცვლისაკენ ან სახელმწიფო ხელისუფლების დამხობისაკენ (მუხლი 317); სახელმწიფო საიდუმლოების გახმაურება (მუხლი 320).

<sup>80</sup> მაგალითად, ტერორისტული აქტი (მუხლი 323); საქვეყნოდ მოწოდება ტერორიზმისაკენ (მუხლი 330<sup>1</sup>); ტერორიზმის დაფინანსება (მუხლი 331<sup>1</sup>).

მნიშვნელობის ადგილების ბლოკირებას (სსკ 222-ე მუხლი),<sup>81</sup> ამბოხებას ან შეთქმულებას ძალაუფლების ხელში ჩაგდების მიზნით (სსკ 315-ე მუხლი),<sup>82</sup> ტერორისტულ აქტს (სსკ 323 მუხლი)<sup>83</sup> და ასე შემდეგ, მითითებული მუხლები შესაძლებელია, სხვადასხვა პოლიტიკურ გამოსვლებსა და დემონსტრაციებსაც მიესადაგოს (მათ შორის - ვარდების რევოლუციას).<sup>84</sup> აღსანიშნავია სსკ-ის 314-ე მუხლი: „უცხო ქვეყნისათვის, უცხოეთის ორგანიზაციისათვის ან მათი წარმომადგენლისათვის საქართველოს სახელმწიფო საიდუმლოების შემცველი ნივთის, დოკუმენტის, ცნობის ან სხვაგვარი მონაცემის შეგროვება, შენახვა ან გადაცემა ანდა გამოძალვა ან გატაცება მათთვის გადაცემის მიზნით, აგრეთვე საქართველოს ინტერესის საზიანოდ უცხო ქვეყნის დაზვერვის ან უცხოეთის ორგანიზაციის დავალებით სხვა ინფორმაციის შეგროვება ან გადაცემა - ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით რვიდან თორმეტ წლამდე“.

მსგავს შემთხვევებში, სახელმწიფოები დანაშაულად ჩათვლიან ნებისმიერ ქმედებას, რომელიც მათ შეიძლება აღიქვან, როგორც სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული რეალური თუ წარმოსახვითი საფრთხე. ამასთან, საფრთხე შეიძლება იყოს როგორც ძალადობრივი, ისე არაძალადობრივი. ასეთ ვითარებაში, ქმედების კრიმინალიზაციას შედეგად მოჰყვება ადამიანის რიგი უფლებებისა და თავისუფლებების დარღვევა. ქმედება, რომელიც ჩვეულებრივ შემთხვევაში, არ ჩაითვლებოდა დანაშაულად (მაგალითად, ჩადენილი სხვა ადამიანების მიერ და სხვა ვითარებაში), ძალაუფლებაში მყოფი მმართველი ჯგუფის შეხედულებისამებრ, შეიძლება დანაშაულად ჩაითვალოს.<sup>85</sup>

ქართულ სინამდვილეში, სავარაუდო პოლიტპატიმრების საქმეებში, ძირითადად, იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის იმ მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებანი, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკებსა და იარაღთან. კერძოდ: ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა ან ტარება;<sup>86</sup> ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა/შენახვა;<sup>87</sup> დიდი ოდენობით ნარკოტიკული ნივთიერების შეძენის<sup>88</sup> მცდელობა;<sup>89</sup> განსაკუთრებით დიდი ოდენობის ნარკოტიკული ნივთიერებების შეძენა-შენახვა;<sup>90</sup> ნარკოტიკების უკანონო<sup>91</sup>

<sup>81</sup> ტელერადიომუწყებლობის, კავშირგაბმულობის დაწესებულების, სტრატეგიული ან განსაკუთრებული მნიშვნელობის ობიექტის ხელში ჩაგდება ან ბლოკირება, რამაც შეაფერხა ან შეეძლო შეეფერხებინა ამ დაწესებულების ან ობიექტის ნორმალური მუშაობა, ისჯება ჯარიმით, გამასწორებელი სამუშაოთი ან თავისუფლების აღკვეთით.

<sup>82</sup> შეთქმულება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, ისჯება თავისუფლების აღკვეთით, ხოლო ამბოხება საქართველოს კონსტიტუციური წყობილების ძალადობით შესაცვლელად, სახელმწიფო ხელისუფლების დასამხობად ან ხელში ჩასაგდებად, ასევე ისჯება თავისუფლების აღკვეთით.

<sup>83</sup> ტერორისტული აქტი, ეს არის ნებისმიერი ქმედება, რაც ქმნის მნიშვნელოვანი ქონებრივი ზიანის განხორციელების საშიშროებას და ხელყოფს საზოგადოებრივ უსაფრთხოებას, სახელმწიფოს პოლიტიკურ ან ეკონომიკურ ინტერესს და ჩადენილია ხელისუფლების ორგანოზე ზემოქმედების მიზნით.

<sup>84</sup> „ეკლუბი ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC), გვ. 4.

<sup>85</sup> <http://www.mojolaw.com/info/cl024> (15.03.2012).

<sup>86</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

<sup>87</sup> იგივე, 260-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>88</sup> იგივე, მე-19 მუხლი, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>90</sup> „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“, სამართლებრივი ანალიზი, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*, თბილისი, 2011 წ.

<sup>90</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 260-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>91</sup> იგივე, 260-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

მფლობელობა.<sup>92</sup> აღნიშნული, სავარაუდოდ განპირობებულია იმით, რომ მითითებული მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულების მოწყობა, სხვა დანაშაულებთან შედარებით, უფრო ადვილია და სავარაუდოდ, ასეთ შემთხვევებში, ადგილი აქვს ხოლმე პოლიციის მხრიდან ბრალდებულთათვის ნარკოტიკის, ან იარაღის ჩადებას ჯიბეში, სახლში, მანქანაში.<sup>93</sup>

პოლიტიკატიმრებად მიჩნეული პირების საქმეებში, აგრეთვე, იკვეთება სისხლის სამართლის კოდექსის სხვა მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულებანიც. კერძოდ: ჟურნალისტისათვის პროფესიულ საქმიანობაში უკანონოდ ხელის შეშლა, ე.ი. მისი იძულება, თავი შეიკავოს ინფორმაციის გავრცელებისგან, ჩადენილი ძალადობის მუქარით;<sup>94</sup> გამოძალვა, განხორციელებული ჯგუფურად და დიდი ოდენობით ქონების მიღების მიზნით;<sup>95</sup> ხულიგნობა;<sup>96</sup> წინააღმდეგობა, მუქარა ან ძალადობა საზოგადოებრივი წესრიგის დამცველის ან ხელისუფლების სხვა წარმომადგენლის მიმართ;<sup>97</sup> განზრახ მკვლელობის მცდელობა მსხვერპლის ან მისი ახლო ნათესავის სამსახურებრივ საქმიანობასა ან საზოგადოებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით;<sup>98</sup> სამსახურებრივი გულგრილობა;<sup>99</sup> თაღლითობა, ე.ი. სხვისი ნივთის დაუფლება მოტყუებით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია;<sup>100</sup> ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი ხულიგნური<sup>101</sup> ქვენაგრძნობით;<sup>102</sup> მითვისება ან გაფლანგვა;<sup>103</sup> უკანონო სამხედრო ჯგუფის ხელმძღვანელობა;<sup>104</sup> ყალბი ოფიციალური დოკუმენტებით სარგებლობა;<sup>105</sup> გამოძალვა;<sup>106</sup> სახელმწიფო გადატრიალების მცდელობა;<sup>107</sup> სხვისი მოძრავი საგნების დიდი რაოდენობით, უკანონოდ მითვისება;<sup>108</sup> ყალბი საკრედიტო ბარათებისა და საგადასახადო დოკუმენტების<sup>109</sup> წარმოება-გამოყენება.<sup>110</sup>

## 7.2. ადმინისტრაციული პატიმრობა

„ადმინისტრაციული შეცდომა: საქართველოს ადმინისტრაციული პატიმრობის არასრულყოფილი სისტემა“, - ამ სახელწოდების ანგარიში 4 იანვარს გამოაქვეყნა ავტორიტეტულმა საერთაშორისო ორგანიზაციამ - „ჰიუმან რაიტს უოჩმა“ (Human Rights Watch). 41-გვერდიან ანგარიშში ასახულია მწვავე პრობლემები, რომლებიც, ორგანიზაციის მკვლევართა

<sup>92</sup> „ეკლემები ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC).

<sup>93</sup> იგივე, გვ. 9-10.

<sup>94</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 154-ე მუხლის მე-2 ნაწილი.

<sup>95</sup> იგივე, 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები.

<sup>96</sup> იგივე, 239-ე მუხლი.

<sup>97</sup> იგივე, 353-ე მუხლი.

<sup>98</sup> იგივე, 19-ე მუხლი და 109-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტი.

<sup>99</sup> იგივე, 342-ე მუხლი.

<sup>100</sup> იგივე, 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>101</sup> იგივე, 117-ე მუხლის მე-5 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

<sup>102</sup> „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები“, სამართლებრივი ანალიზი, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*, თბილისი, 2011 წ.

<sup>103</sup> საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-3 ნაწილი.

<sup>104</sup> იგივე, 223-ე მუხლის 1-ლი ნაწილი.

<sup>105</sup> იგივე, 362-ე მუხლი.

<sup>106</sup> იგივე, 181-ე მუხლი.

<sup>107</sup> იგივე, 315-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილები.

<sup>108</sup> იგივე, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „დ“ ქვეპუნქტები და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.

<sup>109</sup> იგივე, 210-ე მუხლი.

<sup>110</sup> „ეკლემები ვარდების შემდეგ - პოლიტიკური პატიმრები პოსტ-რევოლუციურ საქართველოში“, ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ფედერაცია (FIDH) ადამიანის უფლებათა ცენტრი (HRIDC).



აზრით, არღვევს „ბრალდებულის უფლებებს სათანადო სამართლებრივ პროცედურებზე“. საგულისხმოა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა თითქმის ყველა რესპონდენტს ოპოზიციის საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის ჰქონდა დაკისრებული.

მათ შორის არის 34 წლის ნოდარი, რომელიც, „ჰიუმან რაიტს უოჩის“ ინფორმაციით, საპროტესტო აქციებში მონაწილეობისთვის ორჯერ - 2009 და 2011 წლებში იყო დაპატიმრებული და, შესაბამისად, საკუთარ მაგალითზე, ორჯერ გამოსცადა სისტემის „მანკიერება“. საქმე ის არის, რომ დაკავებული სამართალდამცავებმა არც ერთხელ არ გაარკვიეს თავის უფლებებში და მას ახლობლებთან დაკავშირების საშუალებაც კი არ მისცეს. ამასთან, მოსამართლემ არ გაითვალისწინა პროცესში კერძო ადვოკატის ჩართვის მოთხოვნა და, როგორც ანგარიშში მოყვანილი სიტყვებიდან ირკვევა, მოსამართლე არც დაკავებულის მდგომარეობით დაინტერესდა: „თავი ორ ადგილას მქონდა გატეხილი და სისხლი მომდიოდა. სისხლის შეჩერებაში ჩემს გვერდით მჯდომი პოლიციელი მეხმარებოდა. მართლა ძალიან ცუდად ვიყავი. მთელი სახე ნაიარევებით მქონდა დაფარული. მოსამართლე საერთოდ არ დაინტერესებულა, როგორ მივიღე ეს დაზიანებები“. „ჰიუმან რაიტს უოჩის“ ახალი ანგარიშის მიხედვით, საქართველოში საპროტესტო აქციების დროს დაკავებულთა უფლებები კიდევ სხვა ათეულობით ადამიანის შემთხვევაში დაირღვა.<sup>111</sup>

„ჰიუმან რაიტს უოჩის“ ანგარიშში ასახულია ასევე სხვა დარღვევებიც - მაგალითად, ის, რომ სასამართლო სხდომას ხშირად ფორმალური ხასიათი აქვს - „ის იშვიათად გრძელდება 15 წუთზე მეტხანს და მოსამართლის გადაწყვეტილება, უმეტესწილად, პოლიციელის მიერ მიცემულ ჩვენებას ეყრდნობა. პრობლემას წარმოადგენს ასევე ის ფაქტი, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაპატიმრებულ პირებს სასჯელის მოხდა უწყვეტ დროებითი დაკავების იზოლატორებში, სადაც ხშირად ელემენტარული ჰიგიენური ნორმების დაცვაც კი ვერ ხერხდება“.

„ჰიუმან რაიტს უოჩი“ მიიჩნევს, რომ 90-დღიანი პატიმრობა ზედმეტად მკაცრი სასჯელია და სახელმწიფომ, სისტემის რეფორმირების პროცესში, ამ სასჯელის საერთოდ გაუქმებაზე უნდა იფიქროს. ანგარიშში ხაზგასმულია ის გარემოება, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის ხანგრძლივობა საქართველოში 30-დან 90-დღემდე, საპროტესტო აქციების კვალდაკვალ, 2009 წლის ივლისში გაიზარდა. „ჰიუმან რაიტს უოჩი“ პრობლემად მიიჩნევს იმასაც, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გასამართლებულს უფრო ნაკლები სამართლებრივი უფლებები აქვს, ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსით გასამართლებულს.

„ჰიუმან რაიტს უოჩის“ ანგარიშში მოცემული რეკომენდაციის მიხედვით, სასწრაფოდ უნდა გატარდეს ზომები, რათა ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის დაკავებული ნებისმიერი პირი სარგებლობდეს ადამიანის ძირითადი უფლებებით და თავისუფლებებით.

1984 წელს მიღებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი მოძველებულია და არ განმარტავს, ხშირ შემთხვევაში კი, საერთოდ არ ითვალისწინებს დაკავებულ პირთა უფლებებს.

2011 წლის ივლისში პარლამენტმა პირველი მოსმენით დაამტკიცა ახალი ადმინისტრაციულ

<sup>112</sup> <http://www.hrw.org/reports/2012/01/04/administrative-error>

სამართალდარღვევათა კოდექსი, რომელიც მთელ რიგ პრობლემურ საკითხებს კვლავ ტოვებს და პროექტში რჩება სხვა თემებიც, რომლებიც ასევე მოითხოვს გადახედვას.

ადმინისტრაციული პატიმრობა პოლიტიკურ ჭრილში, უმთავრესად, მაინც ოპოზიციის საპროტესტო აქციებში მონაწილეობის დროს გამოიყენება აქტივისტების მიმართ. საქართველოში, პოლიტიკურ პატიმრებად მიჩნეული პირების საქმეებში, ძირითადად, იკვეთება ისეთი ადმინისტრაციული დარღვევები, როგორებიცაა - სამართალდამცავი ორგანოს მუშაკების კანონიერი მოთხოვნისადმი ბოროტი დაუმორჩილებლობა (სასკ 173-ე მუხლი) და წვრილმანი ხულიგნობა (სასკ 166-ე მუხლი).<sup>112</sup> სწორედ ასეთი დარღვევების ბრალდებით აკავებენ ხოლმე მოქალაქეებს, როდესაც ისინი ცდილობენ, თავისუფლად გამოხატონ თავიანთი უკმაყოფილება ხელისუფლების მიმართ ან მათი მხარდაჭერა რომელიმე ოპოზიციური პოლიტიკური პარტიისადმი.

შემაშფოთებელია ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების სიხშირე მომიტინგეების მიმართ. ადმინისტრაციული პატიმრობა, ასეთ შემთხვევებში, განზრახ და მიზანმიმართულად გამოიყენება ხოლმე. მაშინაც კი, როდესაც სახეზეა წვრილმანი დარღვევები და არ დგას პირის მიმართ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების აუცილებლობა, სამართალდამცავი ორგანოების წარმომადგენლები მაინც იყენებენ აღნიშნულ სახდელს, რასაც შედეგად მოჰყვება დაპატიმრებულის სასტიკი ან არაადამიანური მოპყრობის პირობებში ყოფნა.<sup>113</sup>

ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენების ამგვარ პრაქტიკას შეუძლია, შექმნას ისეთი ვითარება, სადაც აქტივისტების სურვილს - თავისუფლად გამოხატონ შეხედულებები, ჩაახშობს შიში, რომ ისინი ამის გამო მკაცრად დაისჯებიან. ადმინისტრაციული პატიმრობის გამოყენება, სავარაუდოდ, მიზნად ისახავს არა იმდენად აქციის დაშლას, რამდენადაც აქტივისტების დასჯას და ამგვარად, მათში შიშის გავრცელებას. ამის საფუძვლიან ეჭვს აჩენს, ზოგადად, აქციების დაშლის დროს არაპროპორციული ძალის გამოყენება და შემდგომში, მომიტინგეებისთვის ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება ისე, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ნიშნები საქმეში საერთოდ არ იკვეთება, ან იკვეთება, მაგრამ ადმინისტრაციული პატიმრობა ასეთი დარღვევის აშკარად არაპროპორციულია.<sup>114</sup>

ის გარემოება, რომ შესაძლო პოლიტიკური პატიმრების საქმეებში უმთავრესად არ იკვეთება ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის ფაქტები, ან ასეთი გადაცდომა უმნიშვნელოა, აჩენს ეჭვს, რომ ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდება მართლაც განზრახ ხდება და მიზნად ისახავს მხოლოდ და მხოლოდ მომიტინგეების დასჯას განსხვავებული პოლიტიკური შეხედულებების გამო. სწორედ ამიტომ, მაღალი ხარისხით შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ასეთი პირები არიან პოლიტპატიმრები.

<sup>112</sup> „სავარაუდოდ პოლიტიკური მოტივაციის მქონე სისხლის სამართლის და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეები, სამართლებრივი ანალიზი“, *საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია*, თბილისი, 2011 წ.

<sup>113</sup> <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=11816&LangID=E> (08.05.2012).

<sup>114</sup> <http://www.ohchr.org/EN/NewsEvents/Pages/DisplayNews.aspx?NewsID=11816&LangID=E> (08.05.2012).

## 8. კრიტერიუმები

ვიზიარებთ ევროსაბჭოს და საერთაშორისო ამნისტიის მიერ დადგენილ კრიტერიუმებს, ვითვალისწინებთ საქართველოში არსებულ პრაქტიკას და ტენდენციას, და ვადგენთ შემდეგ კრიტერიუმებს:

**პოლიტიკურ პატიმრად შესაძლოა, მიჩნეული იყოს პირი, რომელიც:**

ა. დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს<sup>115</sup> საქართველოს კონსტიტუციით და/ან ადამიანის უფლებათა დაცვის ევროპული კონვენციით გათვალისწინებული ისეთი ფუნდამენტური უფლებების დარღვევით, როგორცაა აღმსარებლობის თავისუფლება, გამომხატვისა და ინფორმაციის თავისუფლება, შეკრებებისა და გაერთიანების თავისუფლება;

ბ. დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს მხოლოდ პოლიტიკური მიზეზებით და არა რაიმე დანაშაულის ჩადენის გამო;

გ. დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს მისი ოჯახის წევრის, ნათესავის ან ახლობლის პოლიტიკური აქტიურობის გამო.

დ. სამართალდამრღვევად, ბრალდებულად ან/და დამნაშავედ ცნეს პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე და რომლის დაკავების, პატიმრობის ან/და თავისუფლების აღკვეთის ვადა ან მისი პირობები მკვეთრად არაპროპორციულია ჩადენილ დანაშაულთან.

ე. პოლიტიკური მოტივებიდან გამომდინარე, იმყოფება სხვა დაკავებულ, დაპატიმრებულ ან თავისუფლება აღკვეთილ პირებთან შედარებით დისკრიმინაციულ მდგომარეობაში;

ვ. დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს აშკარად არასამართლიანი სამართალწარმოების შედეგად და ეს სავარაუდოდ უკავშირდება ხელისუფლების პოლიტიკურ მოტივებს.

ზ. დააკავეს, დააპატიმრეს ან თავისუფლება აღუკვეთეს სამართალდარღვევის ან დანაშაულისთვის, რომელიც პროვოცირებული იყო პოლიტიკური მოტივაციით, ხელისუფლების ან/და სხვა დაინტერესებული პირების მიერ.

---

<sup>115</sup> დაკავება, დაპატიმრება ან თავისუფლების აღკვეთა მოიცავს როგორც სისხლის სამართლის, ასევე ადმინისტრაციულ საქმეებს. საქართველოს პრაქტიკიდან გამომდინარე, სამუშაო ჯგუფმა დაასკვნა, რომ მნიშვნელოვანია მიეთითოს როგორც პირის დაკავება, ასევე დაპატიმრება და თავისუფლების აღკვეთა, ვინაიდან პრაქტიკაში გამოიყენება როგორც სისხლისსამართლებრივი, ასევე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა.